პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

21 დეკემბერი
ოთხშაბათი

1906. ავსტრიაში შემოიღეს საყოველთაო საარჩევნო უფლება.

რედაქციის მისამართი
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 1 ასსერთო №

№ 242 ოთხშაბათი, 21 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 1 დეკემბერი, 1921 წ. № 242

„შემთანხმებლები" მოწინააღმდეგე ბანაკიდან

სულ მხოლოთ რამოდენიმე თვეა, რაც დიდი საბჭოთა ფედერაცია შესდგა ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზაზე და ყველასათვის, როგორც ჩვენი მტრებისთვის, ისე მეგობრებისთვის, აშკარა ხდება დღეს ამ პოლიტიკის წარმოებით მიღწეული დადებითი შედეგები. მისი მიზანი იყო და არის დაშლილი მეურნეობის ფეხზე წამოყენება და საზოგადოებრივ ძალთა ისეთი გადაჯგუფება, რომელიც რევოლიუციონურ მშრომელთა მასებს და მათ პარტიას მისცემდა საშუალებას სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების შენარჩუნებისას კაპიტალისტური ურთიერთობით გარეშემორტყმის პირობებში. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესაძლებელ შედეგებს რუსეთში საბჭოთა რეჟიმის განსამტკიცებლათ, იმ თავითვე კარგად გრძნობდნენ ამ რეჟიმის ყველაზე უფრო ჭკუიანი მტრები რეაქციის ბანაკიდან. ისინი არ მალავდნენ, რომ თუ რევოლიუციონური მთავრობა შესძლებდა მის გატარებას და ამაში მას ხელს ვერ შეუშლიდნენ მოწინააღმდეგე ძალები შავი წარსულის, ახალი რეჟიმის დასაყრდენობი ბაზა გაფართოვდებოდა და ამნაირათ შეიქნებოდა პირობები მისი განმტკიცებისა. ასეთი შეხედულება ედო სხვათა შორის საფუძვლათ მთელ რიგ გამოსვლებს თეთრგვარდიელებისას რუსეთში. დღეს ისინიც იძულებული არიან გამოტყდნენ, რომ ამ ცდამ უშედეგოთ ჩაიარა და რევოლიუციონური მთავრობა აღწევს თავის მიზანს. შედეგები ახალი ეკონომიური და სასურსათო პოლიტიკის დასანახი ხდება ყველასათვის.

წარმოება მთელ რიგ მნიშვნელოვან ცენტრებში ფეხს იდგამს. შრომის ნაყოფიერება მატულობს. გლეხკაცობას საშუალება ეძლევა თავის მეურნეობის გაფართოების და პოლიტიკურათ ახალ რეჟიმს ურიგდება. მსხვილი მრეწველობის დაშლის გამო კლასიურათ დაქსაქსვის გზადაღმართზე შემდგარი პროლეტარიატი ძალას იკრებს, ეკონომიურ ცხოვრებაზე ბატონ-პატრონობას და მომჭირნეობას უფრო ინტენსიურათ ააშკარავებს. ეგრედ წოდებული „სოციალისტური" პარტიები, მენშევიკები და ეს-ერები, პროგრამულ-ტაქტიკურ გზადაბნეულობიდან ჯერაც ვერ გამორკვეულა და მათი მნიშვნელობა შინაურ პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის არარაობას უდრის. ბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთ ნაწილში, რომელიც მომხრეა კონტრ რევოლიუციის, ამტყდარია სასტიკი პოლემიკა. სტრუვე ბრალსა სდებს მილიუკოვს იმაში, რომ თავის დღევანდელი გამოსვლებით ის მორალურ-პოლიტიკურათ სპობს დიდი რუსეთის აღდგენაზე მომუშავე ძალებს. თავის მხრით უკანასკნელი ამტყუნებს პირველს, რომ ის ალღოს ვერ უღებს შექმნილ მდგომარეობას, გაყინულია კონტრრევოლიუციონური ლიბერალიზმის ძველ ფორმულებში, რომელთა პრაქტიკულმა გამოხატულებამ გამანადგურებელი დამარცხება განიცადა ყირიმის ნახევარ კუნძულზე ერთი წლის წინეთ.

საქმეთა ასეთი მსვლელობა ერთ ალიაქოთს იწვევს თეთრგვარდიელებში და მათი საზღვარგარეთელი პრესა სავსეა სასოწარკვეთილებით. ყველა ერთათ ეს შავი საქმის მოციქულები ილაშქრებენ ეგრედ წოდებულ ახალ ჯურის „შემთანხმებლების" წინააღმდეგ, რომლებიც საკმაოდ აღმოჩნდნენ კონტრ რევოლიუციონური ინტელიგენციის ბანაკში და რომელთა ხმა რაც დრო მიდის, მით უფრო და უფრო გარკვევით ისმის. რევოლიუციის პროცესში ჩვენ ვიხილეთ ერთი ტიპი ამ შემთანხმებლების. ესენი იყვნენ მენშევიკები და ესერები, რომლებიც ჰქადაგებდნენ შეთანხმებას ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, ზოგი ნაწილი თვით შავ რეაქციასთან, რაც არსებითად ერთი და იგივე იყო. დღეს ჩვენ მოწამენი ვხდებით „შემთანხმებელთა" ახალი ტიპის გამოჩენის, ამ შემთხვევაში უკვე კონტრ-რევოლიუციის ბანაკიდან. ისინი, დარწმუნებულნი იმაში, რომ საბჭოთა რეჟიმი მტკიცდება რუსეთში, რომ ის არის დღეს ერთად ერთი ფაქტიურათ არსებული სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელსაც ეგუება და ურიგდება რუსეთის სინამდვილე, ამ დიდი ქვეყნის მოსახლეობა, წინადადებას აძლევენ ყველა სასიცოცხლო ელემენტებს ინტელიგენციიდან და რეაქციის ყოფილი არმიიდან, შეურიგდნენ ფაქტს, შეუთანხმდნენ არსებულ მთავრობას და პირი იბრუნონ რუსეთისაკენ, დაბრუნდნენ შინ ქვეყნის აღსადგენათ დაწყებულ დიდ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ ხალხის სასარგებლოთ. გენერალ სლაშჩევისა და კომპ. გამოპარვას და შემოსვლას რუსეთში, რასაც წინ უძღოდა ყოფილი კონტრ-რევოლიუციონური ინტელიგენციის ლიტერატურულ-პოლიტიკური გამოსვლა ქ. პრაღაში, თეთრგვარდიელთა წრეები და მათი პრესა შეხვდა ერთი უშველებელი აურ-ზაურით. დღეს იგივე პრესა, პირზე დორბლ-მოყრილი, უწმაწური სიტყვებით უმასპინძლდება „გამყიდველთა" ახალ ჯგუფს ვ. ლვოვის მეთაურობით, რომელიც ფრანგულ გაზეთებში გამოდის განცხადებით იმის შესახებ, რომ „ფაქტი ფაქტათ რჩება: საბჭოთა ორგანიზაცია ძლიერი და ცხოველმყოფელი" და რომ საჭიროა მოხდეს ყველა მის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მასთან შეთანხმება, შერიგება.

ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილების გრძნობით უცქიროთ თეთრგვარდიელთა რღვევის, მათი დემორალიზაციის იმ პროცესს, რომელიც ასე შორს წავიდა და აღინიშნა ყოფილ კონტრ-რევოლიუციონერების ცნობილი გამოსვლებით. ეჭვს გარეშეა მსგავსი გამოსვლები გახშირდება, დაწყებული რღვევის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება. ამას მიაღწია რუსეთის კომუნისტური პარტიის ჭეშმარიტათ ბრძნულმა პოლიტიკამ და რევოლიუციონური პროლეტარიატის ფოლადისებურმა ბრძოლის ენერგიამ. კვლავ შეუდრეკელი წარმოება ამ პოლიტიკის გარკვეულ ფარგლებში, კვლავ გაასკეცება ჩვეული ბრძოლის ენერგიის—აი თავდები „შემთანხმებელთა" კიდევ უფრო გამრავლების, შავი რიგების საბოლოოთ განადგურებისა და რევოლიუციის გამარჯვების.

პირველი გაფრთხილება

პროლეტარული რევოლიუციის შხეფი მოხვდა ინტელიგენციის იმ ნაწილსაც, რომელიც წინეთ, თვითმპყრობელობის ხანაში, „საზოგადოებრივი აზრის" ბარომეტრათ ითვლებოდა. ეს ნაწილია—სტუდენტობა, თავმოყრილი და გაერთიანებული მეცნიერების ტაძრის კედლებ შუა. ზოგადი რევოლიუციონერობა შეიცვალა კლასობრივ ბანაკებათ დაყოფით: სტუდენტობის პროლეტარული ნაწილი მიემხრო მუშურ-გლეხურ რევოლიუციას, წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ცრუმორწმუნეობით აღსავსე ნაწილმა კი დაიკავა შეურიგებლობის პოზიცია მსგავსად ბურჟუაზიული ინტელიგენციისა.

საბჭოთა რევოლიუციის ოთხი წლის განვითარებამ, მის ძლევამოსილებამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და ინტელიგენცია აიძულა შეცდომის აღიარებაზე და მონაწილეობაზე. ის ძირითადი ფსიხოლოგიური გარდატეხა, რაიც დღეს ხდება რუსეთის ინტელიგენციის ფართო წრეებში, მომასწავებელია საბჭოთა ხელისუფლების იდეის სრული გამარჯვების. რუსეთის განდგომილ სტუდენტობამ უფრო ადრე განიცადა ასეთი გარდატეხა, მან დროზე ალღო აუღო რევოლიუციურ ვითარებას და დაიჭირა ადგილი იქ, სადაც შეეფერება ყოფნა და ბრძოლა ახალგაზრდა ინტელიგენციას, რომელსაც სწყურია ცოდნით ბრძოლა მშრომელი ხალხის საბედნიეროთ და არა შრომის დამჩაგვრელთა დიქტატურის დასაბრუნებლათ და გასამაგრებლათ. სტუდენტობის მასსამ ხელახლა დაანთო გულში მშრომელთა სამსახურის ალი და მუშურ-გლეხური დიქტატურის ბანაკშია დღეს.

საქართველოს სტუდენტობა, ბუნებრივია, ასეთ საფეხურებს ვერ გაივლიდა აქამდის. სამი წლის განმავლობაში ის სუნთქავდა მენშევიკების და სხვა შოვინისტების მიერ მოწამლულ ჰაერს, ის შეცდარ გზაზე შესდგა თავიდანვე, როცა ნაციონალიზმს და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ წყობილებას მიემხრო მშრომელთა ძალა-უფლების, საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. მაგრამ ეს შეცდომა არ არის ნაკარნახევი ღრმა კლასობრივი ბუნებით: საქართველოს მცხოვრებთა უმეტესობა შრომის შვილებია და სტუდენტობის უმეტესობაც შრომის ოჯახიდან არის გამოსული.

და თუ დღესაც, საბჭოთა ხელისუფლების ცხრა თვის არსებობის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ვერ გამორკვეულა საბოლოოდ და არ დაუჭერია თავისი ადგილი მუშა-გლეხების ბრძოლის ბანაკში, ეს აიხსნება ერთი მხრით ჩვენი უმოქმედობით სტუდენტობის მასსებში, მეორე მხრით კი—სტუდენტობის მცირე ნაწილის თავაშვებულობით.

ჩვენ არ შევჭრილვართ სტუდენტობაში ჩვენი პროპაგანდით, ჩვენი აგიტაციით; საბჭოთა სისტემის პოპულარიზაცია, მშრომელთა დიქტატურის ძირითადი თვისებების დემონსტრაცია არ მოუსმენია და არ უხილავს ჩვენს სტუდენტობას.

ამ გარემოებით სარგებლობს ერთი მუჭა შავ-ყვითელ სტუდენტობისა, რომელსაც ბეჯითად გაუვლია კედიას უნივერსიტეტის კურსი მენშევიკების განსაკუთრებულ რაზმში და თავის გეგემონიას ამტკიცებს.

სტუდენტობის ეს ნაწილი ისე იქცევა, თითქოს მათთვის არაფერი შეცვლილიყოს საქართველოში, თითქო საბჭოთა ხელისუფლების არსებობა მათ არ შეეხება, თითქო მათი ავტონომია სამარადისოთ მიუვალი და ხელშეუხებელია.

ორი წლის განმავლობაში სახელ. უნივერსიტეტის სტუდენტობის გამგეობა უდგას სათავეში რამდენიმე ათასი სტუდენტის საერთო საქმეებს და ხელახალ არჩევნებზე და ანგარიშის ჩაბარებაზე არც კი ფიქრობს, თუმცა სტუდენტობაში აშკარა უკმაყოფილება და მრავალი ბრალდებები გაისმის გამგეობის მიმართ.

და როცა განათლების სახალხო კომისარიატი ნიშნავს კომისიას გამგეობის სარევიზიოთ, ეს უკანასკნელი თავხედობას იჩენს და საბჭოთა მთავრობის კომისიას უარით ისტუმრებს. რაღა თქმა უნდა, სტუდენტობის ფართო მასსა არ არის პასუხისმგებელი თავზე ხელაღებულ გამგეობის თავხედობაში, მაგრამ ეს მასსა ვალდებულია სათანადო მსჯავრი დასდოს გამგეობის ყოვლად დაუშვებელ უტიფრობას და თან კარგათ გაუსინჯოს მას კბილი: ნამდვილად სტუდენტობის ინტერესების დამცველი იყო ის, თუ სულ სხვა საქმეს ემსახურებოდა.

პირველი გაფრთხილება უკვე მიიღო გამგეობამ, ის გადაყენებულია. მის მაგიერობას ეწევა სტუდენტობის საერთო კრების მოწვევამდე და ახალი გამგეობის არჩევნებამდე დროებითი გამგეობა, რომელიც სრულ რევიზიას მოახდენს და შემდეგ წარსდგება საერთო კრების წინაშე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის მოშხამული ატმოსფერა, რომელიც დღეს დგას სახალხო უნივერსიტეტში ერთი მუჭა შავ ყვითელ სტუდენტობის წყალობით, შეიცვლება სალი ურთიერთობით წითელ სტუდენტობისა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებ შორის. სიტყვა სტუდენტობის ფართო მასსას ეკუთვნის.

წითელ რესპუბლიკებში

სომხეთი

არჩევნები საბჭოში.

ერევანი 19 დეკემბერი. მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების ქალაქის საბჭოში არჩევნების წინასწარი აგიტაცია დათავდა. არჩევნები დაიწყება 20 დეკემბერს და გაგრძელდება ერთ კვირას. 20 დეკემბერს შესდგება საარჩევნო საერთო კრება, ტრანსპორტის, მელითონეთა, აღმშენებელთა, სახალხო კომისარიატის და კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირებისა.

პედაგოგიური მუზეუმი.

ვაჟთა გიმნაზიის შენობაში 17 დეკემბერს შესდგა საზეიმო გახსნა სომხეთის პირველი პედაგოგიურ მუზეუმისა.

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა.

გამომცემლობითი საქმის ტეხნიკურ მხრით მოგვარების მიზნით სახელმწიფო გამომცემლობამ მიიღო მთელი რიგი ზომები. მოსკოვიდან და თბილისიდან საკუთრად სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილებისთვის გამოწერილია სომხური შრიფტი. პირველ რიგში შეუდგებიან სახელძღვანელოების ბეჭვდას. სახელმწიფო გამომცემლობასთან დაარსებულია პედაგოგიური და საპროპაგანდო განყოფილებანი. გამოვიდა პირველი გამოცემა სახელმწიფო გამომცემლობისა: „დაქირავებული შრომა" და მარქსის „კაპიტალი"—შაუმიანის თარგმანი.

პოლიგრაფიული კურსები.

სომხეთში ასოთ-ამწყობთა უყოლობის და საერთოდ პოლიგრაფისტების საჭიროების გამო, სახ. განათლების კომისარიატის დადგენილებით, პირველ სახელმწიფო სტამბასთან დაარსებულია პოლიგრაფიული კურსები.

სახალხო სასურსათო კომისარიატის მოღვაწეობიდან.

ერევანში ჩამოვიდა სახ. სას. კომისარიატის სახელზე მატარებელი 8 ვაგონის შემადგენლობით თეთრი ფქვილით. შახტახტის სადგურზე იტვირთება სახალხო სასურსათო კომისარიატისთვის 7 ვაგონი ხორბალი და ორი ვაგონი ხორცი.

ფედერაციისთვის.

ეჩმიაძინში შესდგა მთელი რიგი უპარტიოთა კონფერენციები ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ.

გლეხობა და მშრომელნი ესალმებიან ფედერაციას, როგორც თავდებს ძმურ ურთიერთობისას კავკასიის ხალხებისა.

ჩრდილო-კავკასია

კავკავი. 19 დეკ. (დეპ.) **ქალაქის საბჭო.** შესდგა საზეიმო გახსნა ქალაქის საბჭოსი, რომელშიაც არჩეულია 2 უპარტიო. დანარჩენი სულ კომუნისტები. მისასალმებელ სიტყვების შემდეგ მე-5 ყრილობა გადავიდა სხდომის საქმიან—ნაწილზე.

რკინის-გზელთა მუშაობა. ოქტომბრის განმავლობაში კავკავის რკინისგზის დეპოში შეკეთებულია 230 ორთქმავალი. ერთი თვის განმავლობაში მოთხოვნილი იყო 753 ორთქმავალი, მიეცა 680. მიუცემლობა აიხსნება მასალათა უქონლობის მიზეზით. შეკეთებულია 1700 საბარგო ვაგონი, 1840 ცისტერნი, და 3 სამგზავრო ვაგონი. მოთხოვნილებაა 3800 ვაგონზე პურის გადასაზიდავათ. ასრულების ნორმა სამგზავრო ვაგონების შეკეთებისა უდრის 18,7 პროც. საქონლის ვაგონების 14,41 პროც.

რუსეთი.

რ. ს. ფ. ს. რ. დაწესებულებათა გადასინჯვა.

მოსკოვი. 19 დეკემბერი, (რადიო). ცირკულიარულად ყველა საგუბერნიო აღმ. კომიტეტებს. 1) დაწესებულებათა გადამსინჯველ და შემამოკლებელ საგუბერნიო კომისიებს ენიჭებათ უფლება მექანიკურად მოახდინონ შემოკლება ცენტრალურ კომისიის დაუმტკიცებლად და გუბაღმკომების დასტურით, 2) ცვლილებები, რომელნიც მოითხოვენ დაწესებულებათა გაუქმებას ან მისი სტრუქტურის არსებითად გარდაქმნას, ტარდება ცხოვრებაში ცენტრალურ კომისიის მიერ დამტკიცების შემდეგ, 3 როგორც საერთო წესიდან გამონაკლისი, მიენიჭოს უფლება მოსკოვის და პეტროგრადის საბჭოების პრეზიდიუმებს, დაამტკიცონ საგუბერნიო კომისიების დადგენილებანი მოსკოვის და პეტროგრადის გუბაღმკომებისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა შემოკლების შესახებ, მხოლოდ თუ რომელიმე სახალხო კომისარიატი არ დაეთანხმა დადგენილებას, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მოსკოვის ან პეტროგრადის საბჭოების პრეზიდიუმთან, სადაო საკითხი შეაქვთ ც. ა. კ. ცენტრალურ კომისიაში, 4 მიენდოს საგუბერნიო კომისიებს გადასინჯვა აგრეთვე იმ დაწესებულებებისა, რომელნიც არ ექვემდებარებიან გუბაღმკომიტეტებს, მაგრამ იმყოფებიან გუბერნიის ფარგლებში, მხოლოდ სათანადო დადგენილებების ცხოვრებაში გატარება ხდება მათი განხილვის შემდეგ ცენტრალურ კომისიაში, 5; საგუბერნიო კომისიები ვალდებული არიან თვეში ორჯერ გამოგზავნონ ც. ა. კ.-ის ორგგანყოფილებაში ანგარიში მუშაობის მსვლელობის შესახებ.

რ. ც. კ. კ. თავმჯდომარე **კალინინი**.
მდივანი **ენუქიძე**.

ქალაქის შრომა.

მოსკოვი. 19 დეკემბერი. ამხ. კალანტაი „უწყებებში" ფრიად დროულად აყენებს ქალთა შრომის მდგომარეობის საკითხს. იგი წერს: „შტატების შემცირებასა და საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების ახალ ნიადაგზე გადასვლასთან დაკავშირებით, შემჩნეულია სრულიად დაუშვებელი მოვლენა—ქალთა შრომის განდევნა, მისი შეცვლა მამა-კაცის შრომით, იქაც კი, სადაც ამას სრულებით არ მოითხოვენ შრომის ინტერესები. ეს არამც თუ ამრავლებს იმ პირთა რიცხვს, რომელნიც იძულებულნი არიან იცხოვრონ სხვისი შრომის ხარჯზე, ქმრის ან პროსტიტუციის კლიენტებისა, არამედ ისევ აახლებს საბჭოთა სახელმწიფოში სრულიად დაუშვებელ განსხვავებას სქესთა შორის, რომელსაც ბოლო ელებოდა რევოლიუციის წლებში. იქ, სადაც მუშა ქალს არ ითხოვენ, მას აყენებენ უფრო არა ხელსაყრელ პირობებში, ვინემ მამაკაც—მუშაკებს. მთელ რიგ უწყებებში, განსაკუთრებით სამხედროში, შტატის მოსამსახურე მამა-კაცები იღებენ, მაგალითად, ჩასაცმელს, ხოლო ასეთივე მოსამსახურე ქალებს ყურადღებას არ აქცევენ. ეს უთანასწორობა და აქედან გამომდინარე უყურადღებო დამოკიდებულება ქალთა შრომისადმი, თვით პარტიულ რიგებშიაც იკაფავს გზას: ქალებს აღარ არჩევენ საპასუხისმგებლო სამუშაოზე, მცირდება საკანონმდებლო ორგანოებში მონაწილეთა რიცხვი. ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია. შრომის სახელმწიფო, წინააღმდეგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისა, დაინტერესებულია იმაში, რათა გამოიყენოს ყველა მშრომელი მოქალაქეთა ძალები საწარმოო შრომისათვის—ქალების დაბრუნება „მარჩენალთა" ხარჯზე არსებობისაკენ გამოიწვევს საწარმოო ძალების არა ზრდას, არამედ დაქვეითებას. ამხ. კალანტაი ამტკიცებს აუცილებლობას, სასწრაფო წესით მიღებულ იქნას ზომები ქალთა შრომის და უმუშევრობის საკითხების მოსაწესრიგებლად. ეს საკითხები უნდა გახდნენ მსჯელობის საგნად საბჭოების მე-9 ყრილობაზე.

სასურსათო კამპანია უკრაინაში.

მოსკოვი 19 დეკემბერი (რადიო). პოდოლის გუბერნიის ზოგიერთ მაზრაში გადასახადის აკრეფა დაიწყო 1 ოქტომბრიდან. პირველ ხანად იგი ბრწყინვალედ მიმდინარეობდა, პოდოლის გუბერნიამ გადააჭარბა უკრაინის ყველა სხვა გუბერნიებს: პურის ყოველდღიური აკრეფა აყვანილ იქნა 275,000 ფუთამდე. შემდეგში, პეტლიურას ბანდების უკრაინის და პოლონეთის ტერიტორიაზე გადასვლის წყალობით, კამპანიის ტემპი შენელდა, ახლა გვიხდება ზომების მიღება დამზადების გასაძლიერებლად. გლეხობა ფრიად მტრულად მოეკიდა ბანდიტების თავდასხმას. პროსკუროვის მაზრაში გლეხებმა თვითონ იკისრეს საწყობების დაცვა. აკრეფის შედეგი 28 ნოემბრისათვის ასეთია: დამზადებულია 3.404,000 ფუთი ხორბალი და 1,700,000 ფუთი ქერი.

ტელეფონის გაუმჯობესება.

მოსკოვი 19 დეკემბერი რადიო) პეტროგრადის საერთაშორისო ტელეფონის სადგურზე მოხდა გამოცდა ახალი სატელეფონო აპარატისა, რომელიც გამოგონილია პროფესორ კოვალენკოვის მიერ. აპარატი სპობს ხმაურს, რომელიც ეჩხნევა შორ მანძილზე ლაპარაკის დროს. გამოცდა ხდებოდა პეტროგრად-მოსკოვის ხაზით და ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. აპარატი შემოღებული იქნება საერთო ხმარებაში.

ასე იყო, ასე არ იქნება.

მოსკოვი 19 დეკემბერი (რადიო). საბჭოთა სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულმა კომისიამ მოსკოვში დაიწყო განხილვა 40-მდე საქმისა წვრილი მწარმოებლების მიერ შრომის კოდექსის დარღვევის შესახებ. საბრალმდებლო ოქმი ნათლად არკვევს საქმის შინაარსს. მასში ნათქვამია: „კერძო წარმოებათა პატრონებს, რომელთაც ახალი კანონმდებლობა ანიჭებს თაოსნობას რესპუბლიკის ეკონომიურ აღორძინების საქმეში, გაიგეს ეს ამოცანა თავიანთი ანგარებითი ინტერესების მიხედვით: ისინი, პირველი, ბოროტად ისწრაფვიან დაიმონავონ მუშები, რაც სრულიად დაუშვებელია რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში; მეორე, გაადიდონ სამუშაო დღის ხანგრძლივობა 14 16 საათამდე); მესამე, მიიღონ მუშები შრომის ბირჟის გარეშე; მეოთხე, არ შეიტანონ მუშებისათვის დასაზღვევი თანხა; მეხუთე, გაუსწორდნენ მუშებს დაბალი ტარიფით; მეექვსე, ანგარიში არ გაუწიონ პროფკავშირებს და მეშვიდე, დაუსჯელად აწარმოონ მცირე წლოვანთა შრომის ექსპლოატაცია". ბრალდებულთა უმრავლესობა პროფესიონალური კომერსანტებია.

სწორი გზა.

მოსკოვი 19 დეკემბერი რადიო). „იზვესტია" ესალმება მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებულ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმას. იგი სწერს, ამ გეგმაში უპირველეს ყოვლისა თქვენს ყურადღებას იპყრობს მისი რეალური ხასიათი, რომელიც აქ იქ ვიწრო პრაქტიციზმში გადადის. აღნიშნული კომისარიატი შეეცადა შეემცირებინა თვისი მიზნები და მხოლოდ უღრესად აუცილებელს შეხებოდა. გეგმაში ჩამოთვლილია მეტად უბრალო, მასთან მტკიცე ლონისძიებანი, რომელთა განხორციელება შეიძლება ერთ სამეურნეო წლის განმავლობაში. ფართე ეკონომიურ მიზნების თვალსაზრისით ამის საწინააღმდეგოდ ბევრი რამე შეიძლებოდა თქმულიყო. მაგრამ აღარას ვამბობთ, ვინაიდან ყურადღებას ვაქცევთ ხსენებულ გეგმის ძირითად ხასიათს. საქმე იმაშია რომ იგი შეიცავს არა მარტო „უმეტესად უბრალო და სასწრაფო" ღონისძიებებს არამედ ისეთებსაც, რომელთაც მასსიური ხასიათი აქვთ. ამასთანავე იგი აგებულია თვით სოფლის მეურნეთა, კერძოდ კოოპერაციის და თვით მიწად-მოქმედთა ამ საქმეში ჩარევის პრინციპზე, როგორც აღნიშნულია თვით გეგმაში, გლეხთა ფართე წრეების დიდი გასაქანი უნდა მიეცეს. ამ გარემოებამ კი აღნიშნულ კამპანიას უნდა მისცეს საზოგადოებრივ მასსიურ მოძრაობის ხასიათი. გეგმის მთავარ ღირსებად „იზვესტიას" მიაჩნია შემდეგი: 1 ცენტრის მიერ დასახულ გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად თვით გლეხთა ჩაბმა ამ საქმეში—აი ესაა ის სწორი გზა, რომლითაც მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი შესძლებს საგრძნობ შედეგების მიღწევას ჩვენი მრეწველობის უმეტესად მნიშვნელოვან დარგის განვითარებაში.

კერძო გამომცემლობა.

მოსკოვი, 20 დეკემბერი (რადიო. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება კერძო გამომცემლობათა შესახებ. გამომცემლობისათვის საჭიროა სახელმწიფო გამომცემლობის ან სათანადო ადგილობრივი ორგანოს ნებართვა. გამომცემლობათ შეუძლიათ თავისი ბეჭდითი ნაწარმოების თავისუფალ ფასებში გაყიდვა. სახელმწიფო გამომცემლობას აქვს განსაკუთრებული უფლება მთელი გამოცემის ან მისი ნაწილის შესყიდვისა სანარდო ფასებში. ნებადაურთველად გამოცემულ წიგნებს კონფისკაციას გაუკეთებენ და გადადიან სახელმწიფო გამომცემლობის განკარგულებაში.

დიდიხანია საჭირო იყო.

მოსკოვი. 19 დეკემბერი (რადიო). ამხ. სტეკლოვი „იზვესტიაში" ეხება რა საერთო საზავო კონფერენციის მოწვევას, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ გერმანიამ და რუსეთმა, სწერს: ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ ბრიტანიის მართველ წრეების ასეთ გადაწყვეტილებას ინგლისურ გაზეთის მიერ წამოყენებულ პროექტში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა პოლიტიკის გამარჯვებას და საბჭოთა პოზიციის სამართლიანობის აღიარებას, ამასთან ერთად ეს პროექტი მოწმობს, რომ ინგლისის ბურჟუაზიამ თავი დაანება საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდების სურვილებს და რომ იგი საბჭოთა ხელისუფლებას სთვლის საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელსაც ნებაუნებურად ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოს. რამდენადაც ეს პროექტი იზიარებს ჩვენი დიდი ხნის სურვილებსა და წინადადებებს, ჩვენ არ შეგვიძლიან მასზე სრული თანხმობა არ განვაცხადოთ. რაც შეეხება ამავე პროექტის მიერ წამოყენებულ საყოველთაო და კერძოდ საბჭოთა რუსეთის განიარაღების საკითხს, რომელიც კონფერენციამ უნდა განიხილოს, სტეკლოვი სწერს: ჩვენს წინაშე სდგას საკითხი, რომლის შესახებაც შეგვიძლიან ვისაუბროთ იმ იმედით, რომ მის შესახებ შევთანხმდებით, მაგრამ კონფერენცია მზად არის განიხილოს ყველა ის წინადადებანი, ამ საკითხის გარშემო, იმდენად, რამდენადაც ყველა დანარჩენი სახელმწიფონი დათანხმდებიან თავიანთი ხმელეთის საზღვაო და საჰაერო შეიარაღება შეამცირონ და მისცენ გარანტია საბჭოთა რესპუბლიკას, რომ მას არ ეშინოდეს თვის ძველ და ახალ მოწინააღმდეგეთა სიურპრიზებისა.

სრულიად, რაც უნდა გახდეს.

მოსკოვი. 18 დეკემბერი. (რადიო). ამხ. ლენინმა და კალინინმა კატეგორიული ბრძანება გასცეს რომ რაც უნდა გახდეს დეკემბრის განმავლობაში უნდა აკრეფილ იქნეს სასურსათო გადასახადის 100 პროცენტი. ხსენებული ბრძანება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სასურსათო გადასახადის აკრეფაზედ დამოკიდებული არის დეკემბრის განმავლობაში საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა. უკანასკნელ თვეებში ფაბრიკა ქარხნები ამუშავდა, ამოძრავდა დონის ქვანახშირის აუზი. სახელმწიფომ შესძლო ამ უკანასკნელ ხანს ცოტათი თუ ბევრად დახმარებოდა სიმშილისაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და წევრებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა მოწვეულ იქნება 1922 წლის 15 იანვარს.

ყრილობის დღის წესრიგი:

1) მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ—მომხს. ამხ. ს. ქავთარაძე.

2) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მომ. ამხ. მამია ორახელაშვილი.

3) პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა წარმოებაში, ს. ს. ს. რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ. კ. პ. საბჭოსა და წითელ პროფინტერნთან—მომხ. ამხ ნაზარეტიანი.

4) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში—მომხ. ამხ. ტოროშელიძე.

5) საადგილ-მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში—მომხსენებელი [illegible] მახარაძე.

6) კოოპერაცია—მომხ. ამხ. მიხეილ ოკუჯავა.

7) საფინანსო პოლიტიკა—მომხ. ამხ. [illegible].

8) საბჭოთა [illegible] ამოცანები საქართველოში—მომხსენებელი ამხ. ბ. კვირკველია.

9) ეროვნული საკითხი საქართველოში—მომხ. ამხ. ორახელაშვილი.

10) პარტიულ [illegible] და პარტიის წესდება—მომხ. ამხ. [illegible].

11) პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი—მომხსენებელი ამხ. ქავთარაძე.

12) პარტიის ც. კომიტეტის არჩევნები.

13) ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.

14) პარტიულ სარევიზიო კომისიის არჩევნები.

15) მიმდინარე საქმეები.

არჩევნების წესი:

1) პარტიის ყრილობისათვის არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე. პარტიის 100 წევრისა და კანდიდატისაგან ირჩევა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 1) პარტიის წევრთა და კანდიდატების თითოეულ არა სრულ ასეულზე, თუ მათი რიცხვი 50 კაცზე ნაკლები არ არის,—იგზავნება ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა 2) ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ პარტიის 50 წევრზე და კანდიდატზე ნაკლები, პარტიის ყრილობაზე გზავნიან თითო წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2) საქართველოს წითელ ლაშქარს პარტიის ყრილობაზე ეძლევა ხუთი ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3) კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო ორგანიზაციები და ქალთა სამაზრო განყოფილებები, სადაც უკანასკნელნი არსებობენ, გზავნიან ყოველი მათგანი თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

4) კავკასიის განსაკუთრებულ წითელ ლაშქარს ეძლევა 10 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, 10 ადგილი სათათბირო ხმის უფლებით.

5) კომ. ახალგაზრდობის კავშირის ცეკას ეძლევა 3 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6) პარტიის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობენ პარტიის მხოლოდ ნამდვილი წევრები. პარტიის ყრილობისათვის შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ პარტიის წევრები, რომელთაც აქვთ პარტიის ნამდვილი წევრის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი.

ც. კ. მდივანი **ორახელაშვილი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე დონენკო.

დასიებულ უამრავ დამშეულ გლეხებსა და ბავშვებს. თუ დეკემბრის განმავლობაში სასურსათო გადასახადი არ იქნა შეკრებილი შეჩერდება დონის ქვა ნახშირის აუზი. დადგება ფაბრიკა ქარხნები, არ გვექნება არც სახნისი, არც გუთანი, არც ლურსმანი და არც ფეხსაცმელი, დაიღუპება რუსეთის ბეღელი, ვოლგის მხარე და სრული დაშლა და სისაწყლე დაეპატრონება მშრომელ რუსეთს, გლეხებო, 2 კვირის განმავლობაში იხადეთ სრული გადასახადი უკანასკნელ ფუთამდის. ამას მოგიწოდებთ თქვენ სრულიად რუსეთის მშრომელი კლასები და აგრეთვე მილიონობით დამშეულნი.

საბჭოთა რუსეთი და ანტანტა

საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის.

მოსკოვი. 20 დეკემბერი (რადიო) ლონდონიდან იტყობინებიან: რუსეთის საკითხისადმი მიძღვნილ წერილში გაზეთი „მანჩესტერ გარდიენ“ სწერს: „ეხლა ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ იწყება ფართე მოძრაობა რუსეთის ჩაბმისათვის ევროპის ეკონომიურ ურთიერთობათა სფეროში. ამ მოძრაობამ უნდა მიგვიყვანოს რუსეთის მთავრობის ფორმალურ ცნობამდე“. ამტკიცებს რა, რომ ბრიანთან თათბირზე ლლოიდ-ჯორჯი დასვამს საკითხს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით მოკავშირეთა დამოკიდებულებაზე რუსეთისადმი, გაზეთი აცხადებს: „სიძნელენი, რომელნიც ამ შემთხვევაში გამომდინარეობენ საფრანგეთის მხრიდან, ორნაირია: პირველი, საფრანგეთი უარს ამბობს ბოლშევიკური მთავრობის ცნობაზე პრინციპიალური ხასიათის პოლიტიკური მოსაზრებებით, მეორე იგი მოითხოვს თავის ვალების ცნობას, რომელიც ერგება მას რუსეთიდან. რაც შეეხება უკანასკნელ საკითხს,—რუსეთის მთავრობა ყოველთვის ამტკიცებდა, რომ ვალების საკითხი განხილული იქნება სამშვიდობო კონფერენციის მიერ“.

— „დეილი ტელეგრაფი“-ს კორესპონდენტი, ეხება რა რუსეთის მოწვევის საკითხს ვაშინგტონის კონფერენციაზე, სწერს: „ეს საკითხი ცხოველ სჯა-ბაასს იწვევს. მისი დადებითად გადაჭრის სასარგებლოდ მოჰყავთ ორგვარი ხასიათის მოტივები: 1 მანამდე, სანამ რუსეთი საერთაშორისო შეთანხმების გარეშე იდგომება, საყოველთაო განიარაღება შეუძლებელია. 2) თუ კვლავ არ გაიხსნება რუსეთის ბაზრები, შეუძლებელი გახდება საერთაშორისო ვაჭრობისათვის ჯანსაღი ეკონომიური პირობების შექმნა. 3 რუსეთთან შეუთანხმებლად შეუძლებელია სწორად გადაიჭრას აღმოსავლეთის პრობლემა. ამ სამივე მოტივიდან კორესპოდენტი უკანასკნელს ანიჭებს განსაკუთრებულ და აქტუალურ მნიშვნელობას.

საუბარი ჩიჩერინსა და ტროცკისთან.

პარიზი. გაზეთი „პტი პარიზიენი“ ბეჭდავს წერილების მთელ წყებას ამ სათაურით: „ხუთი კვირა მოსკოვში“. წერილების ავტორს ვეისს მოჰყავს თავის საუბრის შინაარსი ჩიჩერინსა. და ტროცკისთან, ჩიჩერინის საუბრის შესახებ ვეისი აცხადებს: ჩიჩერინი ისტორიკოსია, რომელიც ობიექტიურად უკეთებს ანალიზს, როგორც რუსეთის ისე მთელი ქვეყნის, ისტორიულ და პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას. ჩიჩერინი, თავის გატაცებით, ექსტაზამდე აღწევს. ვეისს მოჰყავს შემდეგი მოსაზრება: საჭიროა აუხსნათ ევროპას, რომ რ. ს. ფ. ს. რ. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ეს დიადი ისტორიული მოვლენაა, რომელიც დიდ სერიოზული ყურადღების ღირსია ეკონომისტების მხრივ. თავის საუბარში ჩიჩერინს აღუნიშნავს, რომ: „ევროპა კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება; მას კარგად ესმის, რომ ამ მდგომარეობიდან თავის დახწევას შესძლებს იგი იმის შემდეგ, როდესაც აღდგენილ იქნება რუსეთი. ევროპას სურს რუსეთთან კავშირის აღდგენა, მაგრამ სიკვდილსავით ეშინიან ამისა, ეშინიან კომუნისტების პროპაგანდისა“. ტროცკის საუბარში აღუნიშნავს, რომ ევროპას, და ნამეტნავად ინგლისს, როდესაც რუსეთის შველაზე ლაპარაკობენ, ნამდვილად სხვა ფარული გულის ზრახვანი ასულდგმულებენ ეს რასაკვირველია, მათ უფლებას შეადგენს, მაგრამ არ უნდა დაივიწყონ იმათაც, რომ ჩვენ მათზე ნაკლები თავი არ გვაბია ტანზე. ყოველ შემთხვევაში, ევროპას უნდა ახსოვდეს, რომ რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება, მშვენივრად უწევს ანგარიშს დღევანდელ მდგომარეობას და ევროპიელ პოლიტიკოსების მიზნებთან კარგაა გაცნობილი.

რუსეთის ვალების გადახდისთვის.

ბერლინი, 15 დეკემბერი (რადიო). დრეზდენის პრესა აღნიშნავს: რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა, შეძლებას არ აძლევს მას ვალის გადახდისას, მახლობელ წლებში. რუსეთს ესაჭიროება კაპიტალისტურ დასავლეთის შველა, თავის სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად. გაზეთებს მოჰყავთ პარიზელ გაზეთებიდან ცნობები იმის შესახებ, რომ საფრანგეთს, იმის შემდეგ, რაც მან მიიღო ხელსაყრელი კონცესიები, ადვილად შეეძლო მონაწილეობა მიეღო ამ აღდგენაში. მაგრამ საფრანგეთის მძიმე ინდუსტრია ამ ჟამად განიცდის დიდ გაჭირვებას ფულის თანხებში, ურომლისოდაც, რასაკვირველია, მას არ შეუძლია შეუდგეს რუსეთის შველის საქმეს. საფრანგეთის მთავრობა, ვალების ცნობის საპასუხოთ, მოითხოვს რუსეთის ყოველ მოქალაქის პირად თავისუფლების აღდგენას. კულისებს უკან კი უფრო ნაკლებ მსჯელობენ პრინციპებზე და ყველაზე მეტად კაპიტალებზე. ამ საკითხის შესახებ ენერგიული მოლაპარაკება წარმოებს ამერიკის შტატების და ინგლისის ფინანსიურ წრეებ შორის. მომავალ კვირას ჩვენ შევიტყობთ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ექნებათ მთელი ქვეყნისათვის.

საბჭოთა რუსეთი და ფინეთი

ლატვიის პროლეტარიატი უნდა ფხიზლად იყოს.

მოსკოვი, 19 დეკემბერი. (რადიო). კორელის საკითხის გამო ლატვიის გამოსვლასა და ფინეთის, ლატვიის, ესტონიის და ლიტვის კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით, ლატვიის გაზეთი „სოც-დემოკრატ“ სწერს, რომ ლატვია ხელახლა უნდათ ჩაითრიონ რუსეთთან მტრულ კომბინაციებში და ეს კი იქნებოდა მომავალში ლატვისათვის საშიშროების გამოწვევა. ლატვის პროლეტარიატი ფხიზლად უნდა იყოს.

ფინეთის ინტრიგები.

მოსკოვი, 18 დეკემბერი. (რადიო). ბალტიის სახელმწიფოების რეველის კონფერენციაზე, სადაც განიხილავენ სამხედრო სამეურნეო საკითხებს, როგორც გადმოგვცემენ, ფინეთი შეეცდება აღძრას საკითხი რუსეთ-კორელიის კონფლიქტის შესახებ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

პოლონეთი

სკანდალი ვარშავის საბჭოში.

მოსკოვი, 20 დეკემბერი (რადიო). ვარშავის ქალაქის საბჭოს სხდომაზე მოხდა გაუგონარი სკანდალები ანტისემიტების ყრილობისათვის განსაკუთრებული შენობის მიცემისათვის. ანტი-სემიტი ხმოსნები ცდილობდნენ ეცემნათ ხმოსან ებრაელებისათვის.

დაპატიმრებულ კომუნისტის წამება.

დაპატიმრებულ დეპუტატმა დომბალმა სეიმში გამოგზავნა განცხადება, სადაც ჩივის, რომ იგი მოთავსებულია ბნელ და ცივ საკანში; რის გამო ის ავად გახდა. დომბალმა გამოაცხადა შიმშილობა, რომლის მიყვანა გადაწყვიტა ბოლომდე, როგორც პროტესტი უფლებობის წინააღმდეგ, რომელიც დაუშვეს მის მიმართ. სეიმის კომისიამ დომბალის განცხადება უყურადღებოდ დასტოვა.

დამოუკიდებელი სოციალისტები.

პოლონეთის სოციალისტურ პარტიიდან გამოყოფილმა ჯგუფმა შეადგინა დამოუკიდებელ სოციალისტების პარტია და გამოუშვა თავისი ორგანო, რომელსაც პოლიციამ უკვე უყო კონფისკაცია.

სეიმმა თავი მოიხარა ჟანდარმერიის წინაშე.

ვარშავა. 15 დეკემბერი (რადიო). სეიმის კომისიამ განიხილა რა კომუნისტ დომბალის უკანონო დაპატიმრების საკითხი, რომელიც მოხდა სეიმის დაუკითხავად, დაადგინა მიიღოს იგი მხოლოდ ცნობად. ამრიგად კომისიამ თავი მოიხარა ჟანდარმერიის წინაშე და უარჰყო დეპუტატების ხელშეუხებლობა.

გერმანია

გერმანიის გადასახადი.

მორდო, 16 დეკემბერი. (რადიო). გერმანიას 15 იანვრის და 15 თებერვლისათვის ანტანტის კასებში უნდა შეეტანა 500 და 275 მილიონი მარკა ოქრო. გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა ოფიციალურად განაცხადოს პარიზსა და ბერლინში, რომ არ შეუძლია მორიგ გადასახადის შეტანა.

ნაუენი, 17 დეკემბერი. (რადიო. ინგლისის საზოგადო აზრი გერმანიის ზემოაღნიშნულ განცხადების შესახებ ორად გაიყო. პრესის ზოგიერთი ორგანოები იზიარებენ საფრანგეთის თვალსაზრისს, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვს, რომ გერმანიამ ვალი უნდა გადიხადოს. დანარჩენი გაზეთები განსაკუთრებით „ვესტმინსტერნ“ გაზეთი ამ საკითხში მხარს უჭერს გერმანიას.

გერმანია გაკოტრების წინაშე.

ნაუენი, 17 დეკემბერი. (რადიო). ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: ლონდონში მყოფმა რატენაუმ დამარწმუნა, რომ გერმანიის სრულ გაკოტრების გამოსწორება, მხოლოდ ეკონომიურ სიტუაციის შეცვლით თუ შეიძლება. ამის და მიუხედავად ლოიდ-ჯორჯი მაინც დაბეჯითებით მოითხოვს, რომ გერმანიამ მაინც შეიტანოს გადასახადი, მხოლოდ ისე კი რომ არ გაკოტრდეს. თუ გერმანია უახლოეს ხანში არ შეიტანს გადასახადს ეს გარემოება ცუდ გავლენას მოახდენს საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობაზე.

აწიოკება ბერლინში.

მოსკოვი. 20 დეკემბერი (რადიო. ბერლინის ცენტრში ახალი აკლებააწიოკება მოახდინა ქალაქის ღარიბმა ნაწილმა, აღშფოთებულმა სიძვირით, რომელიც თანდათან იზრდება.

მუშების გამარჯვება.

რკინისგზელთა რვა დღის გაფიცვა ბერლინში დამთავრდა მუშების გამარჯვებით. ადმინისტრაციამ დასთმო ყველა მუხლებში.

ვაშინგტონის კონფერენციისათვის.

ვალების გაბათილების პროექტი.

რიგა. 14 დეკემბერი, (რადიო. „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით, ვაშინგტონის კონფერენციის ბევრი წევრთაგანი აცხადებს, რომ ლოიდ ჯორჯს განზრახვა აქვს იკისროს ინიციატივა სამხედრო დროის ვალების გაბათილებისა. ანტანტის მიერ გაბათილებულ იქნება სესხი გაცემული იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, რუსეთის და ბალკანეთის სახელმწიფოებზე იმ პირობით, რომ ასეთივე გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა მიიღოს სხვა სახელმწიფოებმაც. ლოიდ ჯორჯი საფრანგეთს თხოულობს, რომ იან გააბათილოს მოკავშირეების ვალები და შეუმციროს გერმანიას ვალი 13,5 მილიარდ ფრანკამდე.

ვივიანი კმაყოფილია.

ბორდო. 15 დეკემბერი, (რადიო). ვივიანმა, ვაშინგტონიდან წამოსვლისწინ, ინახულა პრესის წარმომადგენლები, რომელთაც განუცხადა, რომ კონფერენციის მუშაობა საერთოდ შეიძლება ჩაითვალოს ნაყოფიერად. მთელ ქვეყნიერებას თავს დასტრიალებდა ახალ ომის აჩრდილი, რომელიც, ემუქრებოდა კაცობრიობას, მაგრამ კონფერენციის წყალობით იგი თავიდან აცილებულ იქნა. ინგლის-იაპონიის კავშირი, რომელიც ძლიერ აწუხებდა შეერთებულ შტატებს, გაბათილებულია. შესაძლებლობა, ომის წარმოებისა მშვიდ ოკეანეზე, რომელიც ინგლისის ზოგიერთ სამფლობელოსთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, ამ ჟამად თავიდან აცილებულია. იაპონიამ მშვიდობიანი განწყობილებანი გამოიჩინა. საფრანგეთსაც არაფერზე სამდურავი არა ეთქმისრა. მიუხედავად იმ მიმართულებისა, რომელიც კონფერენციის მუშაობამ მიიღო საფრანგეთს საშუალება მიეცა თვის შეხედულების ნათლად და გადაჭრით გამოთქმა, საზღვაო და სახმელეთო შეიარაღების შესახებ. საფრანგეთის უფლებები კონფერენციის მიერ ცნობილ იქნა.

როგორ ჰყრის იარაღს საფრანგეთი.

კარნორკონი 16 დეკემბერი (რადიო) ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობით. საფრანგეთის დელეგაციას განზრახვა აქვს მოითხოვოს საფრანგეთისათვის 350,000 ტონა მსხვილ სამხედრო ერთეულისა, რაიც აღემატება პირვანდელ განზრახულ ნორმას.

სყიდვა-გაყიდვა.

ლონდონი 15 დეკემბერი რადიო). „დეილი ჰერალდ“-ი აღნიშნავს: იაპონიის თანხმობა ნაწილობრივ განიარაღებაზე ნაყიდია იაპონიისათვის შესაფერ ფასით რომლის რაოდენობა ამოფარებულია ფრაზებ ქვეშ, შორეულ აღმოსავლეთის საკითხში შეთანხმების შესახებ. ტოკიოს დიპლომატები ჰკარგვენ რა ინგლის იაპონიის შეთანხმებას, ლებულობენ ოთხთა კავშირს, რომლისათვისაც ახალ დასაყრდნობს შორეულ აღმოსავლეთში ეძიებენ, საიდანაც შეეცდებიან ტერიტორიათა დაპყრობას ჩინეთსა და ციმბირში.

ინგლის-ირლანდიის დამოკიდებულებისათვის

სერიოზული მდგომარეობა.

მოსკოვი, 20 დეკემბერი. რადიო. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ კრეკი თვლის შექმნილ მდგომარეობას ფრიად სერიოზულად, ვინაიდან ულსტერს არ უნდა რაიმე დათმობაზე წავიდეს. მიუხედავად ამისა ბრიტანეთის მთავრობა ემზადება თავის ჯარების გამოსაყვანად ირლანდიიდგან.

ირლანდიის საკითხის განხილვა.

მოსკოვი, 20 დეკემბერი: ლორდთა პალატაში და თემთა პალატაში დაიწყო ინგლის-ირლანდიის შეთანხმების განხილვა. კონსერვატორები შეთანხმების წინააღმდეგ გამოდიან.

ახალი კონფერენციის მოწვევისათვის.

მოსკოვი. 20 დეკემბერი. გარდინგს წარედგინა პროექტი ახალი კონფერენციას მოწვევისა, რომელსაც უნდა განიხილოს მსოფლიოს ეკონომიური მდგომარეობა უნდა მიიღონ ლოიდ ჯორჯმა და ბრიანმა. პრესა გაცხოველებით არკვევს ხმებს განზრახულ კონფერენციასთან დაკავშირებით. „ვესტ. მინისტერ გაზეთ“-ის ცნობებით, ლოიდ ჯორჯის და ბრიანის შეხვედრის დროს გაირჩევა ცენტრალურ ევროპის და რუსეთის აღდგენის საკითხი.

ინდოეთი

ბოიკოტური მოძრაობა.

მოსკოვი, 20 დეკემბერი. (რადიო. „დეილი ჰერალდი“ იტყობინება, რომ ბოიკოტური მოძრაობა, მიმართული უელსის პრინცის წინააღმდეგ, უფრო და უფრო იზრდება, მიუხედავად პოლიტიკურ რეპრესიებისა. ოლქებში ცხადდება „დებულება აჯანყება და კრებებზე“, რომელიც კრძალავს თითქმის ყოველგვარ მიტინგს. მთავრობა ხელს უწყობს „სამოქალაქო გვარდიების“ მოწყობას. ევროპიელებისა და ერთგულ ინდოელებისაგან. ინდოელ ნაციონალისტების წინამძღოლმა განაცხადა: „ჩვენ უნდა მოვიწვიოთ, რაც უნდა დაგვიჯდეს ნაციონალური კონგრესი, თუნდაც ყველა ჩვენი მეთაურები დააპატიმრონ“.

საბერძნეთ-ოსმალეთის ომი

შეთქმულება ბრუსაში.

სტამბოლი. ჟურნალ „დორიანი“ სწერს, საბერძნეთის პოლიციამ ბრუსაში აღმოაჩინა ფარული ეროვნული ორგანიზაცია. შეიპყრეს 3 ქემალისტი ოფიცერი.

საშინელი ანგარიში.

მოსკოვი. 16 დეკემბერი (რადიო). ინგლისის მთავრობამ შეადგინა იმ ზარალის ანგარიში, რომელიც ბერძნების ჯარებმა მიაყენეს მცირე აზიას. ზარალი 525 მილიონ ოსმალურ ლირას უდრის.

სმირნის ოლქის ავტონომია.

სტამბოლი. გაზეთი „ნეოლოგოსი“ სწერს, რომ ბერძნები პრინციპიალურად თანახმანი არიან სმირნის ოლქის ავტონომიაზე, რომლის მართველობა ბერძენ მართველს უნდა ჩააბარონ შეთანხმების სახელმწიფოებმა. საერთოდ ბერძნები ლებულობენ: 1) ანატოლიის ევაკუაციას და სმირნის ოლქის ავტონომიურ მართველობას; 2, ფრაკიის საზღვართა გადასინჯვა და მის ენოს მიდიის ხაზამდის გადატანას. ეს არის დათმობის ის მაქსიმუმი, რომელიც შეუძლია მიიღოს საბერძნეთმა. გაზეთი ასე ათავებს: ჩვენი მთავრობა ყოველივე ღონეს მიიღებს ომის შესაწყვეტად. და თუ მისი ცდა უნაყოფო იქნება, დაე იცოდეს ყველამ რომ ჩვენი ჯარი საუკეთესოდ არის შეიარაღებული და შესძლებს საკითხის გადაწყვეტას მით უმეტეს, რომ ყველა ელლინი მასთან იქნება.

მაშვრალთ სიმაგრე

(პირველ საბჭოს)

ისარი ხარ გესლით სავსე
შვილდის ფრთიდან მონატყორცნი,
მტრებს თუ გულში შხამათ ეწვი
მაშვრალ ხალხს კი შუბლზე ჰკოცნი...
შუბლზე ჰკოცნი გულმკერდ ღიას,
ოფლის ტბაში გატარებულს,
გამარჯვების სხივით გვათბობ,
ჰქენი ძველ ქვეყნის დამხობ კრებულს!
შენი რწმენა შრომის სულს, გულს
განახლების ამბავს ეტყვის,
უკვე აღარ გეშინია—
არც გრიგალის, არც დასეტყვის.
შენს ნაბრძანებს—შენ ასრულებ,
არ გჭირდება მოკარნახე,
წინ უძლევი მებრძოლ რაზმებს,
მაშ გზა სწორი გამონახე!..'
რომ აშორო სევდის დღენი
წამებულ ხალხს, ოფლ მონაგარს,
შენ ეს ძალგიძს, ძალგიძს ვიცი
ნებით მტკიცეს, გულით მაგარს...
ისარი ხარ გესლით სავსე
შვილდის ფრთიდან მონატყორცნი,
მტრებს თუ გულში შხამად ეწვი,
მაშვრალ ხალხს კი შუბლზე ჰკოცნი!..

იონა ვაკელი.

შორეულ აღმოსავლეთის ამბები

საიდუმლო დიპლომატიის შედეგები.

მოსკოვი, 18 დეკემბერი (რადიო). შორეულ აღმოსავლეთში თეთრგვარდიელთა ბანდების გამოსვლის შესახებ. ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ, ვაშინგტონის შეთანხმებაში ფარული მუხლის არსებობის შესაძლებლობას, რომლის ძალითაც იაპონიას მიეცა წინადადება დაიკავოს აზიის რუსეთის რაც შეიძლება მეტი ნაწილი იმ დათმობის ასანაზღაურებლად, რომელზედაც იაპონია წავიდა ჩინეთის მიმართ.

იაპონელების სიმხეცე.

მოსკოვი, 19 დეკემბერი (რადიო). იაპონელებმა „პრიმორიეს“ სხვადასხვა ადგილებში მოახდინეს მშვიდობიან რუსეთის მოქალაქეების მკვლელობები. დასწვეს და გაძარცვეს სოფლების მთელი რიგი. მცხოვრებლებს, რომლებიც ცდილობდენ გაეყვანათ თავის საქონლის ჯოგი და გასულიყვნენ საომარ მოქმედების ზონიდან, სდევნიდნენ და უშენდენ იაპონიის ჟანდარმები.

ქრონიკა

◆ ზამთრის არდადეგები. სახკანკომის კოლეგიამ დაადგინა: საზამთრო არდადეგები ყველა სასწავლებლებისთვის 1-დან 16 იანვრამდის გაგრძელდეს. სასწავლებლების გამგეებს ევალებათ ამ დროისათვის მუშაობის ანგარიშების წარდგენა.

◆ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ეკონომიური განყოფილება. კონტროლის ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლად გადასწყდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ის განყოფილებანი, რომლებიც კონტროლს უკეთებდენ სახალხო სასურსათო, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატებს და უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, გაერთიანებულ იქნეს ერთ ეკონომიურ განყოფილების სახით.

◆ ტელეფონით სარგებლობა. თანახმად ფოსტ-ტელეგრ. სახალხო კომისრის განკარგულებისა 25 დეკემბრამდის უნდა შეტანილ იქმნეს ტელეფონის გადასახადი. ამ განკარგულების დამრღვევლებს მოესპობათ ტელეფონით სარგებლობა.

◆ კონკურსი. „ოარლ ინიკ“-ის რედაქცია აცხადებს სამხატვრო სალიტერატურო ნაწარმოებთა კონკურსს. მოწონებული ნაწარმოები მოთავსებულ იქნება კრებულის პირველ ნომერში. პრემია: რევოლიუციონურ ზლაპრისათვის 150000 მან. მოთხრობისათვის 100000 მან. პოემისათვის 75000 მან. ლექსებისა და სიმღერებისათვის 50000 მან. მასალების მიღება სწარმოებს 25 დეკემბრამდის. მისამართი პეტრე დიდის ქ. № 8.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

შავის ქვის კომიტეტი.

საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოზე გადაცემის შემდეგ, გარდაქმნილ შავი ქვის კომიტეტს უკანასკნელ ხანს ჰქონდა ორი სხდომა: 20 და 21 ნოემბერს ჭიათურაში, 7 დეკემბერს თბილისში, ამ სხდომაზე მსჯელობა იყო მთელ რიგ საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია შავი ქვის მადნის გადაზიდვასთან. შავი ქვის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა გადამზიდავ ბიუროს წინაშე დღე-ღამეში მოსაცემ ვაგონების რიცხვის გადიდების შესახებ—დეკემბერში და იანვარში ჭიათურიდან შავი ქვის გადასაზიდავად, მადნისათვის ორი გემის საჩქაროდ მოსვლის გამო. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა. კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა მადნის გადასაზით ფასის გადახდის ვადის გაგრძლების შესახებ, რომელიც იგზავნება „ჩემო“-ს მისამართით. გზათა სამმართველომ გადაუდო გადახდის ვადა გაზიდვის თვის გასვლამდე. სად. შორაპანში ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის ვაგონებიდან მადნის გადასატვირთ ღირებულების გამოსარკვევად და ჭიათურაში, დარკვეთში, ფოთში და ბათომში და აგრეთვე საქართველოს ნავთსადგურებში საჭირო ფასის გამოსარკვევად არჩეულია საგანგებო კომისია. ამორჩეულია კომისია სამთამადნო მუშების კავშირის გამგეობასთან ხელშეკრულების დასადებათ, ჭიათურაში მადნის გადატვირთისა და უქმე დღეებში მუშაობის წარმოების შესახებ, რადგანაც უქმეების უმუშევრობა საშუალებას უსპობს რკინის გზას გადაზიდოს მადანი სამარშრუტო მატარებლებით. კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა ფოთ-შორაპან-ჭიათურის ტელეფონით შეერთების შესახებ. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გაერთიანების და კომიტეტის ს. მ. უ. ს.-ზე გადასვლის გამო ცნობილია საჭიროდ შავი ქვის გადაზიდვის წესდების გადამუშავება, რომელიც დაევალა კომიტეტის მიერ არჩეულ კომისიას. საზღვაო ტრანსპორტის წარმომადგენლის განცხადებით კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა ფოთის წყალ ნაკლებ ნავთსადგურის გაღრმავებას, დასატვირ

თავ ელევატორის გასწორების, ნავთსადგურის ტერიტორიის გასწორების და სხვათა შესახებ. აღძრულია შუამდგომლობა ქიათურაში და ქიათურა-დარკვეთ შორის ლიანდაგის შეკეთების შესახებ, სადაც 6 ვერსის სიგრძეზე არის შავი ქვის 80 საწყობი. კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს სახალხო ბანკიდან ექსპორტიორების მიერ ბანკში დაგირავებულ მადნის დატვირთვის ნებართვის ძიების შესახებ, რადგან მისი გადაზიდვა ფოთში იქ მოლოდინე გემებისათვის ძლიერ საჩქაროა. შუამდგომლობა გამოწვეულია მით, რომ ვინაიდგან ბანკებში ფულის ოპერაციები შესწყდა, საკრედიტო დაწესებულებები არ შეეძლიათ მისცენ რკინის გზას განცხადება ვაგონების შესახებ, ამის გამო ექსპორტიორებს, რომლებმაც დააგირავეს მადანი ბანკებში, არ შეუძლიათ აწარმოვონ დაგირავებულ მადნის დატვირთვა. კომიტეტის მიერ აღნიშნულია ცენტრ. ტოპ. წარჩინებული მუშაობა, რომელმაც დაიწყო ნოემბრიდან შავი ქვის გადატვირთვა სად. შორაპანში და ნოემბერშივე გადატვირთა 150 ვაგონზე მეტი, რომლებიც დიდი ხანია იდგა გადაუტვირთავათ.

საქონლის გადატანის გამო.

გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატი იტყობინება საყოველთაოთ, რომ ყველა ნებართვანი, მიცემულნი ვადის უჩვენებლათ საქონლის საზღვარ გარეთ გასატანათ გაუქმებულია 15 დეკემბრიდან.

საერთო საექსპორტო გეგმა.

გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის მოანგარიშ-საგეგმო სექცია ამუშავებს ახალას საექსპორტო გეგმის შედგენათ.

ლითონის მრეწველობის დამუშავების გადაყვანა სამეურნეო საფუძველზე.

ეს საკითხი განიხილეს საქ. პროფკავშირის საბჭოს ეკონომიურ განყოფილების სხდომაზე, სადაც მონაწილეობას იღებდენ სახ. მეურნ. უმ. საბჭოს მელითონეთა განყოფილების და მელითონეთა კავშირის წარმომადგენელნი. თათბირმა დაადგინა ცნობილ იქნეს საჭიროთ, ლითონის მრეწველობის დამუშავების გადასვლა სამეურნეო-კომერციულ საფუძველზე 15 დეკემბრიდან. ახალ საფუძველზე გადასვლის დროს მიენდოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში შევლენ მელითონეთა კავშირის, მელითონეთა განყოფილების, მუშა-გლეხთა ინსპექციის, სახ. მეურნ. უმ. საბჭოს ფინანსიურ-საანგარიშო განყოფილების წარმომადგენლები—შეადგინოს ვრცელი აღწერა ინვენტარისა თვითეულ წარმოებაში. საორგანიზაციო საკითხის შესახებ დადგენილია: 1) მელითონეთა განყოფილებაში დაწესდეს კოლეგიალური მართველობა; თავმჯდომარეთ ამხ. კალანდაძე და წევრებათ ამხ. დელმანტოვიჩი და გარინი, 2 ქარხნებში დაწესდეს ერთ პიროვნული გამგებლობა, 3) ქარხნებს მიეცეს შინაური სამეურნეო ავტონომია. ამასთანავე ერთათ თათბირმა დაადგინა მიენდოს მელითონეთა განყოფილებას კავშირთან ერთად, სასწრაფოთ დაამუშაოს და წარადგინოს საქ. პროფკავშირის საბჭოს ეკონომიურ განყოფილებაში თავისი შეხედულება წარმოების კონცენტრაციის შესახებ. წარმოებების მომარაგების საკითხის შესახებ დადგენილია: 1) თავი მოუყარონ ყველა საწყობებს წარმოებებთან, 2) ცნობილი იქნეს საჭიროთ, რომ მომარაგების საბჭომ მისცეს ლითონის განყოფილებას ყველა სამი თვისთვის საჭირო მასალა სესხის სახით. მთელი ლითონის მრეწველობის ფინანსიურათ უზრუნველყოფის საკითხის შესახებ დადგენილია: 1) საჭიროთ იქნეს ცნობილი გაღება 2 მილიარდ მანეთისა ლითონის განყოფილების საჭიროებისათვის უპროცენტოთ, რომლის მიცემა უნდა დასრულდეს ორი თვის განმავლობაში და ორი წლის ვადით დღიდან სესხის მიცემისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ვალდებულია გადაუხადოს ხელფასი მელითონეთა განყოფილებას 15 დეკემბრამდის. სატარიფო საკითხის შესახებ დადგენილია დაწესდეს ნარდი შრომის ხელფასი, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს ახალი ტარიფიდან იმ პირობით, რომ აღდგენილი უნდა იქნეს ომის წინა დროის ნორმების გამომუშავება.

სამკერვალო-საფეიქრო მრეწველობის გადაყვანა სამეურნეო საფუძველზე.

საქართველოს პროფკავშირის საბჭოს ეკონომიურ განყოფილების სხდომაზე სადაც მონაწილეობას იღებდნენ სახ. მეურნ. უმ. საბჭოს ფეიქარ-მკერავთ განყოფილების და ფეიქარ-მკერავთა მრეწველობის მუშათა კავშირის წარმომადგენელნი, დადგენილია: საფეიქრო-სამკერვალო მრეწველობის გადაყვანა სამეურნეო-კომერციულ საფუძველზე საჭიროთ იქნეს ცნობილი გარდა ცენტრალურ სამკერვალო სახელოსნოსი, რომელიც რჩება სახელმწიფო მომარაგებაზე. ორგანიზაციული საკითხის შესახებ დადგენილია, დაწესდეს ფეიქარ-მკერავთა სამრეწველოში ერთ პიროვნული გამგებლობა. ნაწარმოების კონცენტრაციის შესახებ დადგენილია: ფეიქარ-მკერავთა განყოფილების განკარგულებაში დასტოვონ შემდეგი წარმოებანი: 1) ყოფილი ფაბრიკები მახმედ შეკოვისა, მთვარაძისა, ხრინულისა და ძმების ზლატოგორსკებისა, 2) სამკერვალონი: ცენტრალური სახელმწიფო ფაბრიკა (გახოვის ქუჩა № 3.) ტან-საცმელის სახელოსნო მელიქოვის და ალექსანდრეს ქუჩის კუთხეზე, კონცენტრაციული საპელოსნო და ხავთლუღის სამკერვალო. ყველა დანარჩენი წარმოებანი გაიცეს იჯარით ან დაიხუროს. სატარიფო საკითხის შესახებ დადგენილია: 1) შემოიღონ ახალი ტარიფი, რომელიც გამომუშავებულია საქ. პროფკავშირის საბჭოს შრომის სანორ. განყოფილების მიერ და მიეცეთ ხელფასი ნატურით და ფულით იმ პრინციპის მიხედვით, რომელიც დაწესებულია შრომის სანორმო განყოფილების მიერ. 2) გადაიყვანონ ყველა მუშები ნარდ შრომის ხელფასზე, 3) ახალი ტარიფის შემოღების შემდეგ მოიხსნას მუშა-მოსამსახურეთ სასურსათო ულუფიდან. ფინანსის და მომარაგების საკითხის შესახებ დადგენილია, მთელი ფეიქარ-მკერავალთა სამრეწველოს, გარდა ტეხნიკური სამკერვალო სახელოსნოსი, ეძლევა სახელმწიფო მომარაგება, როგორც ფულით, აგრეთვე მატერიალურად, 2) მთელი ნედლი მასალა, სათოები, მასალები, ფაბრიკები და ნახევრად ფაბრიკატები გადაიცემიან ფეიქარ-მკერავთა სამრეწველოს განყოფილების განკარგულებაში; 3) მიეცეს წარმოებას არა დიდი საკითხის გადაჭრის დროს სამეურნეო ავტონომია; 4) წარმოებების და მუშების მომარაგება აწარმოვონ სასურსათო კომისარიატის და მომარაგების საბჭოს საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ უარი უთხრეს ან პასუხი არ გასცეს მოთხოვნილებას სამი დღის განმავლობაში ნება ეძლევათ შეიძინონ გარეთ საჭირო საგნები; 5) დაწესდეს სავალდებულო პერიოდული კოლექცია შემფასებელ კომიტეტთან წარდგენით და დასამტკიცებლათ; 6) დაწესდეს ერთი ფასი, სახამ შეცვლილი იქნებოდეს სახელმწიფო დაწესებულებათათვის, და მეორე კერძო ორგანიზაციის და პირებისთვის. კაპიტალის აღრიცხვის საკითხის შესახებ დადგენილია: მიენდოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში შევლენ ფეიქარ-მკერვალთა სამრეწველო განყოფილების, მუშა-გლეხთა ინსპექციის, პროფკავშირის, უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს ფინანსიურ საანგარიშო განყოფილების წარმომადგენლები, მოახდინოს ფეიქარ-მკერავთა სამრეწველოს მთელი ქონების აღწერა.

მომარაგების საბჭოს განკარგულებაში წარმოებათა პროდუქტების გადარიცხვის საკითხის შესახებ მწარმოებელთა მოგების ხარჯზე დადგენილია: 1) საფეიქრო-მრეწველობაზე დაარსდეს 5 პროც. გამორიცხვა. 2 რაც შეეხება სამკერვალო მრეწველობას—დაევალოს განყოფილებას კავშირთან ერთად პროცენტიულ გამორიცხვის დაწესება და მის ს. პ. კ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში დასამტკიცებლათ წარდგენა.

შრომის ბეგარა

ნამქერი

შესდგა სამეული თოვლის ნამქერის წინააღმდეგ საბრძოლველად რკინის გზებზე. სამეულში შევიდნენ შრომის კომისარიატი, რკინის გზის სამართველოს და რკინის გზის საგანგებო კომისიის წარმომადგენლები. რკინის გზის ლიანდაგის გასაწმენდათ მუშაობა იწარმოებს მახლობელი სოფელთა შრომის ბეგარით.

ბეგარა მეეტლეთათვის

შრომის კომისარიატის, „ტრამოტის“ და მსუბუქ მეეტლეთა კავშირის წარმომადგენელთა საგანგებო თათბირმა დაადგინა: იმ მეეტლეთათვის, რომელთაც აქვთ მსუბუქი ეტლები, შემოიღონ ბეგარა. ეს ბეგარა შემოღებულია როგორც დროებითი ზომა.

მიწების მორწყვა.

შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ბაღდადის საზოგადოების მიწების მოსარწყავად მუშაობის საწარმოებლათ, ნება დართულია შრომის ბეგარა. თანახმად ხარჯთ-აღრიცხვისა მთელ მუშაობისთვის საჭიროა 26.000 მუშა-დღე, 1400 მოწოდების-დღე. ნაწილი მუშაობისა უკვე შესრულებულია. წინათ მუშაობის აწარმოებდა ჰიდრო-ამშენებლობითი განყოფილება, ახლა კი იგი დაევალა ქუთაისის შრომის განყოფილებას.

რკინის-გზის მე-17 უბნის შეკეთება.

რკინის-გზათა მე-17 უბნის (ბაქოს ხაზი შესაკეთებლად, საჭიროა 210 მუშა 3 თვის ვადით. მთელი საჭირო მუშა ძალის რაოდენობის მოწვევა განზრახულია მუშა-ძალის აღრიცხვის საშუალებებით.

დატვირთვა ნოემბერში ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე

მშრალი საქონელი:

სახ. სასურსათ. კომის.	1187 ვაგ.
სამხედრო	1813 „
სამეურნეო	861 „
სხვა და სხვა უწყებისა	896 „
ს. მ. უ. ს.	834 „
ცენტროკავშირისა	212 „
ს. კ. პ. ბიუროსი	10 „
ხალხის გადასაყვანი	102 „
შენობის მასალა	48 „
შეშა	638 „

სულ 7141 ვაგონი

ამის გარდა გადატვირთულია სადგურ შორაპანში შავი ქვა 642 ვაგ.

ნავთის ტვირთი

ბაქოშ-ჩაასხეს რკინის გზისთვის ნავთი 866 ვაგონი.

კერძო პირებისთვის	77 „
კეროსინი	26 „
ფისი	2 „
სიმჟავე	6 „

საგარეო ვაჭრობის კომისარიატს გაუგზავნეს ბათომში: ზეთი 497 ვაგონი, სხვა და სხვა უწყებას და პირებს ბენზინი 29 ვაგონი. სულ 1506 ვაგონი.

ძველი და ახალი

(საუბარი სოფლის მკითხველთან)

I

ჩვენი გაჭირვება და მისი წამალი

დღეს ყველა ცხოვრების უმადურია. ყველაფერი გაძვირდა, შრომა არ ფასდება, ჯამაგირები არ გვყოფნის, მოუსავლობამ მთლათ მოგვითავა ხელი—ეს ისმის ყოველ მხრიდან.

იმედ დაკარგული ერთი მეორეს შევტირით ჩვენ უბედურობას და თითქმის თავიდანვე გადაგვიწყვეტია, რომ გამოსავალი არსაით არის. მართლა კი ასე უიმედოა ჩვენი მდგომარეობა?

ხუ თუ არსაიდანაა ხსნა და საშველი?

რამია ჩვენი უბედურობა?

ჯერ ერთი იმათი, რომ მჭამელი ბევრია და მკეთებელი კი ცოტა. ერთი დაუდექით დაწესებულებებში. დაუკვირდით მათ საქმიანობას, მიდით იქ სამუშაო დროს. იქ ან გულხელ დაკრეფილი სხედან და იცით აქეთ დასეირნობენ და ჭორებს იგონებენ და ავცელებენ. იქვე ვის გნებავთ, რომ იქ არ იყოს. ძველი ჩინოვნიკი, სწავლას ჩამორჩენილი სტუდენტი, გახუხებული აზნაური, გადაყენებული ღვდელი, გაუბედურებული სპეკულიანტი. ერთი სიტყვით ყველა წოდებისა და წრის ხალხი. იქ არ არის მხოლოდ ის, ვისაც პირველი ადგილი უნდა ეკუთვნოდეს ამ დაწესებულებებში—იქ ცოტაა მუშები და უფრო ცოტა გლეხები.

რამ მოუყარა ამდენ „ავარა“ ხალხს აქ თავი?

ეს ძნელი მისახვედრი არაა.

საბჭოთა ხელისუფლება—მშრომელი ხალხის ბატონობის იარაღია—მისი სახელმწიფო წესწყობილების ფორმაა. საბჭოთა ხელისუფლება ძირიან ფესვიანათ სცვლის დღემდე არსებულ სახელმწიფო აპარატის სახეს, მის შინაარს, შემადგენლობას და დანიშნულებას. აქ ყოველივე მშრომელთა საზრუნველათ, მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ არის მოწყობილი. ეს დღემდე არავის მოსწრებია.—როგორ იყო უწინ? მუშა სულამოუთქმელათ მუშაობდა, გლეხი თავის მოსავლით ქვეყანას არჩენდა, თითონ შიშველი და მშიერი აცოდვილებდა წუთისოფელს. ბურჟუა ლიპზე ისვამდა ხელს და არხეინათ შეექცეოდა „ღვთისაგან მოცემულ“ სიმდიდრეს. თავადაზნაურობა ქეიფს უნდებოდა. ქვეყნის მოვლა პატრონობა კი პრისტავსა და ურიადნიკს ჰქონდა ჩაბარებული. ერთი სიტყვით, თავის საქმე ყველას ჰქონდა მიჩენილი: მუქთა ხორა ქვეყანას ბატონობდა—მისთვის, მის ცხოვრების დასატკბობათ იყო ყოველივე მოწყობილი და მორთული; მშრომელი კი ცხოვრების გარეშე იყო გარიყული; სკოლა მდიდრებისთვის იყო აშენებული; ექიმი ვაჭრობდა და ღარიბისათვის ხელმიუწვდომელ „ტაქსით“ ღებულობდა გასამრჯელოს; დავრდომილი და მუშუმევრათ დარჩენილი მუშა ან გლეხი სამათხოვროთ უნდა გამოსულიყო ქუჩაში. ეს იყო უწინ.

გავარდა რევოლუციის მეხი, ძველი მეფის მთავრობა დაემხო.

ქვეყნის მოვლა პატრონობა კურთხეულმა მენშევიკებმა იკისრეს, მარა მათ ისეთი დარბაისლური სიდინჯით მოჰკიდეს საქმეს ხელი, რომ მათი არსებობა მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას ოდნავათაც არ დასტყობია.

მართალია, თავიდან წესის გულისთვის ერთი ორჯელ გაიარ გამოიარეს წითელი ბაირაღებით, მერე ისინი გვერდზე გადადვეს და „საქმიანობას“ შეუდგნენ. მათ არ აუტკივებიათ თავი ძველი წესების შეცვლა გადასხვაფერებისთვის. თუ შეიცვალა რამ ეს მხოლოდ ის, რომ ძველი თვითმპყრობელობის ჩინოვნიკებს ახალი მეგობრები შემატა. ლავრენტი მახარაძე და ბენია ჩხიკვიშვილი ერთი ხელობის, ერთი საქმის მკეთებელი ერთ სარბიელზე მომქმედი ხალხი შეიქნა.

უწინდელი რევოლუციონერი და ძველი მეფის პრისტავი ერთმანეთს დაუახლოვდნენ, დამეგობრდნენ და ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირი შეჰკრეს. ნურავინ მოტყუვდება: პრისტავი კი არ გარევოლუციონერებულა, არამედ ეს უკაცრავათ მოხსენებაა რევოლუციონერი და მრავალი მისი მგზავსი გაპრისტავდა და უნდა გულ ახდილათ ვაღიაროთ, რომ ახლებმა ძველები უკან მოიტოვეს. დარჩა ყოველივე ხელუხლებელი. თავად აზნაურობას არ აწყენინეს, ბურჟუაზია დაიცვეს „მუშების ძალმომრეობისაგან“, მღვდლებს და ბერებს მსუქანი ულუფა დაურჩინეს და რუსეთის კონტრ-რევოლუციონერებსაც კი უწევდნენ მძლავრ დახმარებას. ამ მოღვაწეობაში მათ ერთი რამე გამორჩათ—მუშები და გლეხები. მათთვის მხოლოდ მოთმინება დამორჩილების რჩევის მეტი ვერაფერი მოისაზრეს ამ ქვეყნის პატრონებმა—ურჩებსა და მოუსვენრებს, რა თქმა, უნდა ძველებურათ პრისტავულათ უმასპინძლეოდნენ.

მოკლე დღის გამოდგა მათი ბატონობა. ისტორიის ჩარხი მაინც გადატრიალდა და მის შეჩერების მსურველნი—მესვეურნი ამ ქვეყნისა თან გადაიყოლა უფსკრულში. ორის მომავალი მეშვეიკები (უფსკრულს შორს ოლა იქნენ) იძიმე საგლით დატვირთული გაუდგნენ გზას. გამოაცარიელეს სახელმწიფოს ხაზინა, თან მიაყოლეს ოცი თვის მარგალიტი მოიძებნებოდა და ისედაც დაღარიბებული კუთხე უფრო დაღარიბდა და გატყდა წელში.

ამ მდგომარეობაში დამყარდა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება. საქმის სათავეში მოექცნენ ბოლშევიკები, რომლებსაც ახლა კომუნისტებს უწოდებენ. რევოლუცია იმისთვისაა რომ მშრომელი ხალხი წელში გაიმართოს, მოისპოს სიმდიდრე და სიღარიბე, მაშვრალი თავის შრომას დაეპატრონოს და მას ყორანივით არ კორტნიდეს სხვისი შრომით გასივებული ვაჭარი და მწევარ მეძებრების მოტრფიალე თავად აზნაურობა. ამას ქადაგებენ და ანხორციელებენ ბოლშევიკები. უფასო სწავლება, უფასო ექიმობა, თავადაზნაურების მამულების მშრომელი ხალხისთვის გადაცემა, ბურჟუაზიის სრული მოსპობა—აი რას აპირობენ ისინი.

ამის გაკეთებას და განხორციელებას სულ სხვა წესი და სხვა სახით მუშაობა უნდა. ძველი დაწესებულების შემწეობით ამას ვერ იზამ. შექნა ძველის ნგრევა, ახლის შენება. ვინ არ იცის, რომ სახლის აშენებას უფრო მეტი მუშა ხელი სჭირდება ვიდრე აშენებულის მოვლა პატრონობას. ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ, იმნაირი სახელმწიფოს აშენება, სადაც ყოველივე და ყველაფერი მუშისა და გლეხის ცხოვრების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იქნება მოწყობილი ძნელი საქმეა. ამის მაგალითი ჯერ დედამიწას არ უნახავს. აქნობამდი ყოველგან და ყოველ დროს არსებული სახელმწიფო მხოლოდ მშრომელის კისერზე მისაკალათებლად იყო მოწყობილი.

მშრომელი ხალხის სრული განთავისუფლება—აი რა უნდათ კომუნისტებს. ძნელია ასეთი ძირითადი ცვლილების შეტანა ცხოვრებაში, ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ახალი საქმის საკეთებლად ჩვენ ძველ ხალხთან გვჭირდება საქმის დაჭერა. არც გლეხს, არც მუშას ჯერ არ ჰყავს თავის წრიდან გამოსული „ნასწავლი ხალხი“. გლეხის შვილი მიწას ჩაკირკიტებს, როგორც ეს სჩვეოდა მის წინაპრებს. ერთი გლეხური პოეტი ასე ლაპარაკობს გლეხის გულის პასუხს:

მე ვინ მომაცლის იმდენსა
გლეხმა ვისწავლო ანბანი
დავჯდე და წიგნი ვიკითხო
გავიგო ქვეყნის ამბავი.

როცა ახლა ამ უსწავლელმა ხალხმა ჩაიგდო ბატონობა ხელში და უნდა ყოველივე თავის სასარგებლოთ აამოძრაოს, მას ათასი დაბრკოლება ელობება წინ, ყოველ შემთხვევაში ამ საქმეში მას სჭირდება მათი მოხმარა, ვის წინააღმდეგაც დღევანდელი წესწყობილება არის მიმართული. ისინი კი ადვილი მისახვედრია, გულებიანათ ვერ აკეთებენ ამ საქმეს. ბევრ მათგანს არ ესმით, არც გაეგებათ მომხდარი ამბავის მთელი შინაარსი და იმდენათ კი, რამდენადაც ეს მათ უწინდელ უზრუნველ ცხოვრებას არღვევს, ისინი გაბოროტებული კბილებ კრეჭით, გარეგნულათ დამორჩილებული, მარა გულში შეურიგებელი მოდიან ჩვენთან: ძალას სად გაექცევი, მარა მუშაობაზე გული არ უდევთ.

ამიტომაა, რომ გამოჭედილია ჩვენი დაწესებულებანი, იქ ხალხი ბევრია საქმე კი ცოტა. ზანტი საქონელივით იზოგავენ სამუშაოს და ერთ დღეს გასაკეთებელს ხშირათ კვირას და თვეებსაც კი ანდომებენ და თუ საქმე მთლათ არ იძინებს იმიტომ, რომ მას სათავეში აქა-იქ მაინც უდგას ხალხის ძველი მესვეური პარტიის მუშაკები, მარა დამწყებს თუ მიმყოლი არ ჰყავს, როგორც იცით საქმეს თავი ვერ მოევლება. ჩქარა წელიწადი შესრულდება რაც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა—ეს გულჩახვეული ხალხი ერთნაირათ ერკვევა, ნელ-ნელა სწავლობს ჰკუას. ვისაც იმედი ჰქონდა, რომ ჩქარა ძველი დრო დაგვიბრუნდებაო, იმედი უცრუვდება. მუშა-გლეხური სახელმწიფოს წესწყობილება ზურგს იმაგრებს და მაგრად იდგამს ფეხს და რაც დრო მიდის თანდათან ძლიერდება. ამას ბრმაც კი ხედავს და ყრუსაც კი ესმის. ამიტომაა, რომ ბევრი ვინც აქნამდი ძლიერ დინჯი ნაბიჯით მოგვყვებოდა ჩვენ. ნელ-ნელა თავს ანებებს თაღლითობას და ურიგდება თავის „მწარე ხვედრს“. ცოტანი არიან ასეთები დღეს, მეტი იქნება ხვალ და ბლომათ გვეყოლება ახლო მომავალში. ასე იყო რუსეთში, ასევე ხდება ჩვენში—ეს გზა აუცილებელია. რაც უფრო ადრე გაიგონებს ეს ხალხი ცხოვრების ფეხის ხმას და გაჰყვება მას, მით უკეთესი მათთვის. ჩვენ კი ერთი უნდა ვქნათ სულ ახლო მომავალში: უნდა შევიტანოთ ყოველ ჩვენ დაწესებულებაში დიდი ცოცხი კარგათ მიუსვ-მოუსვათ და ყველა ის, ვინც ჯერ კიდევ არ ჩახვედრია ჰკუას და განზე იყურება კარში გამოვგაოთ. ჩვენი მთავრობა შეუდგა კიდევაც ამ საქმეს.

მაშვრალთა სახელმწიფოში, უქმათ მჯდომი და ტყვილათ მყოფი ლუკმის ღირსი არაა.

ვინც დარჩება და ბეჯითობას, გულმოდგინეობას გამოიჩენს, მტრობას ამოიღებს გულიდან და ნუყაითად იმუშავებს, მას ჩვენ ისე მოუვლით და ვიზრუნებთ მასზე, როგორც საზოგადოთ ზრუნავს ყოველ მაშვრალზე საბჭოთა ხელისუფლება.

ამით მოგვაკლდება ბევრი მუქთა მჭამელი—ამით გვაცოცხლებთ ჩვენ საქმიანობას.

ეს ერთი საშუალება, ერთი შეღავათი. დანარჩენებზე შემდეგ.

დაკარგული.

სალამი ბრმათა სკოლას!

ავლაბარში, მაღლობზედა
ვინახულე ბრმათა სკოლა,
საუკუნო სიბნელესთან
საპროტესტო წმინდა ბრძოლა.

ვნახე კაცის დიადება.
კაცში ვნახე შემოქმედი,
თუმც ბუნების სტიქიასაც
დაუჩაგრავს მათი ბედი.

მაგრამ ჩაგვრის დასათრგუნვად
კაცი არის კაცის ხიდათ.
ამ კავშირის იმედითა
დღევანდელ ჭირთ არ ვსთვლი დიდათ.

მოვა დრო და შვების ტახტზე
დაბრძანდება სიყვარული,
და მის ირგვლივ ჩამწკრივდება
ყველა ტანჯულ-დაჩაგრული—

ისე, როგორც ბრმათა ჯგუფი
გარს მოუსხდა როიალსა,
რომ მათ ველარ ვაშორებდით
ვერც ყურსა და ვეღარც თვალსა.....

არა ჰგავდენ ამ ქვეყნიურთ,
ზეციერნი იყვნენ არსნი,
გეფიცებით, თვალ ნათელნიც
არ მინახავს მათი მსგავსნი.

მათ თანხმობას, მათ ერთობას,
სანეტარო ჰმოსდა შუქი,
მათ კავშირში გამოსჭვივდა
სიყვარულის თამასუქი:

ყველა ერთ აზრს გაემსჭვალა,
ერთ რიგ სცემდა ყველას გული.
ნეტავ, ყველგან იყვეს მსგავსი
კაცთა შორის სიყვარული!..

უბიწო და უანგარო,
წმინდა შრომით გაბადრული,
ვსტყვი, რომ ამ სავანეში
ნეტარება ვნახე სრული!..

და ამიტომ იმ მაღლობზე,
გაუმარჯოს, ბრმათა სკოლას,
საუკუნო სიბნელესთან
თავდადებულ წმინდა ბრძოლას!..

ნ. ზომლეთელი.

სტუდენტთა შორის

19 დეკემბერს საღამოს 7 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა სტუდენტთა საერთო კრება—სასადილოში მომხდარი სტუდენტთა გამგეობის დატუსაღების შესახებ. მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი, რომელიც აღნიშნავს გამგეობის მოქმედებას, ამართლებს იგი გამგეობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და იწონებს მის ტაქტიკას სახალხო განათლების კომისარიატის მიმართ. შემდეგ სიტყვას თხოულობს ამხ. ოდილავაძე, რომელიც ამბობს, რომ, თუმცა ის არ არის დაწვრილებით გაცნობილი საკითხს, მაგრამ მიუთითებს კრებას იმ ფაქტზე, რომ სასადილოში ხდებოდა სისტემატიური ბოროტმოქმედება, რაც ბრალდება იქ მოსადილე სტუდენტებს და გამგეობა კი რჩებოდა ვითომ გამართლებული. განათლების სახალხო კომისარიატმა, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ბოროტმოქმედება რჩებოდა დაუსჯელათ, დანიშნა 3 პირისაგან შემდგარი კომისია, რევიზიის მოსახდენათ. გამგეობას, როგორც მონაწილეს ბოროტ-მოქმედებაში არ ეჭაშნიკა განათლების კომისარიატის მიერ ჩარევა საქმეში და უარი უთხრა კომისიას რევიზიისათვის. ასეთი გამგეობა, რომელიც ბოროტმოქმედებას ჩადიოდა პასუხი კი არ უნდა აგოს თავის მოქმედებაზე, რასაკვირველია ვერ გადარჩებოდა დაუსჯელი და იქმნა დატუსაღებული ადმინისტრატიული წესით 7 კაცი მისი შემადგენლობიდან. უნდა აღინიშნოს ის, რომ კრების უმრავლესობას შეადგენდა იმ ვაჟბატონთა ჯგუფები, რომელნიც დასტირიან თავიანთ გაკოტრებას და ვერ მოუნელებიათ პროლეტარიატის ბატონობა. აი ასეთი ჯგუფები, რასაკვირველია, არ იმოქმედებდნენ ისე, როგორც ეს სტუდენტობას მოუხდებოდა, როგორც ეს იქნებოდა სასარგებლო სახელმწიფოსათვის. ისინი არიან გამსჭვალულნი იმ აზრით მხოლოდ, რომ რამენაირად ხელი შეუშალონ მთავრობას და მიზანშეწონილ ნაბიჯებს, რომელსაც იგი სდგამს განათლების სფეროში. ეს ჯგუფი რეაქციონერებისა ვერ ისვენებს იმიტომ, რომ მან დაჰკარგა მეფური ტახტი, ბატონობა და იძულებულია „პარაზიტულ“ ცხოვრებას თავი დაანებოს. მათ თავიანთ გაკოტრების და ულაჯობის საკითხი სტუდენტთა სასადილოშიდაც კი გადაიქვეს, სადაც უნდა ჰქონდეს ადგილი არა პოლიტიკურ შეჯიბრებებს და გამოსვლებს, არამედ სტუდენტთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. კრების თავმჯდომარე, ბატონი ნაკაშიძე, ირონიულ სიცილს აყრიდა ყველა იმათ, ვინც მათი ტახტის და უკვე დასამარებულის ბატონობის ფეხზე წამოსაყენებლათ არ ამბობდა სიტყვას. და ბოლოს მენშევიკების ლაქიების, მემარჯვენე ფედერალისტების მიერ წამოყენებული იყო შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც მიღებულ იქნა კუდგამბმულ ჯგუფების მიერ: „სტუდენტთა საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ, იწონებს მას და ადგენს კატეგორიულათ მოითხოვოს მთავრობას დატუსაღებულ სტუდენტთა განთავისუფლება, რის მოსახდენებლათაც არჩეულ იქმნეს 5 დელეგატი“. შემდეგ კრება ადგენს გაწიოს რევიზია გამგეობას და უკვე არსებულ სარევიზიო კომისიას მიუმატოს თითო კაცი, კომუნისტებისა და მემარცხენე სოც.-ფედ. მხრიდან. ამ კრებამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლები ფარავენ ისეთ ბნელ ძალებს, რომელთაც სურთ დაამხონ დღევანდელი წესწყობილება და მთელი თავისი ძალღონით, მთელი თავისი შეგნებით და ენერგიით მიისწრაფიან ამ მათთვის მიუწვდომელ საქმისაკენ. მაგრამ ამ გზით ისინი კისერს მოიტეხენ.

ხოხიკო.

ს. ს. ს. რ. შრომის განყოფილებების გამგეთა პირველი ყრილობა

(პირველი სხდომა, დეკემბრის 15, 1019 წ,)

სხდომას გახსნილათ აცხადებს შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. არ. მიქაძე, რომელმაც მიმართა დამსწრეთ მისალმებით, მან აღნიშნა ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს შრომის სახალხო კომისარიატს რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრების აღორძინებაში. სხვა ეკონომიურ ორგანიზაციებთან ერთად ის წარმოადგენს ერთ-ერთ ორგანოს, რომელმაც ეკონომიურ ცხოვრების განვითარებაში ყურადსაღები როლი უნდა შეასრულოს. გარდამავალ ხანაში, როცა განზრახულია რამოდენიმე წლის იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენა და გაძლიერება, რაც ერთად-ერთი გარანტიაა რევოლიუციის განმტკიცებისა და მისი საერთაშორისო მასშტაბით განვითარებისათვის, შრომის ორგანიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ ჩვენ, როგორც შრომის მომწესრიგებელი ორგანოს ხელმძღვანელებს, დიდი მოვალეობა გვაწევს. უმთავრესი მამოძრავებელი ძალა სახალხო მეურნეობისა ეს მუშახელია, რომლის სწორი გეგმით განაწილებაზე და საერთოდ შრომის ბირჟის მოგვარებაზე ბევრადაა დამოკიდებული წარმოების ფეხზე დაყენება. მეორე მხრივ, დანგრეული სოფლის მეურნეობის აღდგენასა და განვითარებასთან დაკავშირებულია საინდუსტრიო წარმოების აღორძინება. იმ მდგომარეობის დატოვება, რომელიც ახლა არსებობს სასოფლო მეურნეობაში, შეუძლებელია. უთავბოლო ბეგარები, სოფლის მეურნეობას მძიმე ლოდათ აწევს. საჭიროა ამისი ერთგვარ კალაპოტში ჩაყენება. ჩვენი მდგომარეობა ამ ორი ამოცანის მოგვარებაა, სახელდობრ ქალაქის წარმოების და სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენება, მათი მუშა-ხელით მომარაგება, რომ ამით შევსძლოთ ამ ნიადაგზე აღმოცენებულ დაბრკოლებათა გადალახვა, ამისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს შრომის მტკიცე ორგანიზაციის შექმნა და ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირის გაბმა. ეს არის ჩვენი უმთავრესი საქმე. ვხსნი რა ყრილობას, მე წინდაწინვე იმედს გამოვსთქვამ, რომ ჩვენი მომავალი მუშაობით შევძლებთ დასახულ მიზნების დავვირგვინებას და მით შევიტანთ შესაფერ წვლილს რევოლიუციის წინსვლასა და განმტკიცებაში. მისალმების შემდეგ შემოსული წინადადებით ყრილობის პრეზიდიუმი არჩეულ იქმნა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ— შრომის სახ. კომისრის მოადგილე ა. მიქაძე, მის ამხანაგებათ—კუზიატინი და ლლონტი, ხოლო მდივნებათ—თურქია და ბოკუჩავა.

პრეზიდიუმის მიერ ყრილობაზე წარმოდგენილი დღიური წესრიგი მიღებულ იქნა შეუსწორებლათ.

1. მოხსენება შრომის სახ. კომისარიატის საერთო მოქმედების შესახებ.
2. შრომის სახ. კომისარიატის მოქმედება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში.
3. მოხსენებები ადგილებიდან.
4. შრომის ბეგრის შესახებ.
5. მუშა ხელის აღრიცხვის შესახებ.
6. საორგანიზაციო საკითხი.
7. მიმდინარე საქმეები.

თავმჯდომარე აცხადებს რადგანაც საქართველოს ყველა კუთხიდან შრომის განყოფილებების გამგენი ჯერ კიდევ არ ჩამოსულან, ხოლო კი მათი მოცდის დრო არა გვაქვს და ამავე დროს პირველ რიგში დასმულია მეტად საყურადღებო მოხსენებანი, რომელთა მოსმენა ყველა გამგეთათვის სავალდებულოა, ამიტომ წინადადებას იძლევა, რომ ყრილობა დაიწყოს ადგილებიდან მოხსენებებით, რაიც იქნა მიღებული ყრილობის მიერ.

მოხსენებები ადგილებიდან

პირველ სიტყვას მოხსენებისათვის იღებს ბათომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. კუზიატინი. ის აღნიშნავს, რომ, აჭარის შრომის სახალხო კომისარიატს არ ყავს კოლეგია და თვით ბათომის მასშტაბით არ არის მისი არსებობის საჭიროება. თვით კომისარს თავისუფლათ შეუძლიან განაგოს კომისარიატის ყველა განყოფილებები. კომისარიატის შტატი შესდგება 7—8 კაცისაგან. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების ქ. განყოფილება ვერ ასრულებს იმ ფუნქციებს, რაც მასზეა დაკისრებული. № ბათომის მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების ქ განყოფილება ისეთივეა, როგორიც იყო ყოფილი შრომის ბირჟა. დეკრეტი, რომ მუშა-მოსამსახურეთა მიღება ყოფილიყო მხოლოდ აღრიცხვის ქ. განყოფილებიდან, ვერ ხორციელდება, რის გამოც თვით ქ. განყოფილება ვერ სარგებლობს ავტორიტეტით. სხვათა შორის, ამის მიზეზი გახლავს თვით ბათომის განსაკუთრებული პირობები, სადაც მძვინვარებს სპეკულიაცია, კერძო წარმოება და სხვა. კერძო წარმოებებში ხელფასი უფრო მეტია, ვინემ საბჭოთა დაწესებულება-წარმოებებში, რის მეოხებით კვალიფიციური მუშებს თავისკენ იზიდავდნენ, და ეს ხდებოდა მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების ქ. განყოფილების გარეშე. ამასთანავე ბათომში არსებული სხვა მეზობელ სახელმწიფოთა დაწესებულებებს მოყავდათ მუშები და თანამშრომლები სხვა ქალაქებიდან, მაგალითად: ტფილისიდან, ბაქოდან და ერევნიდან, როგორიც არის მისიები „ობენშტორგი“, და სხვა. თუმც მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების სტატისტიკაში არ სჩანს მაგრამ თამამად ითქმის, რომ ბათომში უმუშევართა ტალღა დღითი-დღე იზრდება, რაიც მოითხოვს ენერგიულ ზომების მიღებას. ადგილობრივი პროფკავშირები სცდილობდნენ და ეხლაც სცდილობენ უზრუნველჰყონ უფლებები თავიანთ უმუშევარ წევრთა, მუშაობის განაწილებისას. ამ მხრივ არავითარი ინსტრუქცია არ მიგვილია ცენტრიდან. ბათომის პროფკავშირის საბჭოთა პრეზიდიუმში იყო დადგენილი, რომ პირველ რიგში სამუშაოზე გაგზავნილი ყოფილიყვნენ ის უმუშევრები, რომლებიც იყვენ პროფკავშირების წევრებად. მაგრამ ასეთმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია ზოგიერთ კავშირების პროტესტი და მისი განხორციელება შეუძლებელი შეიქმნა, რისთვისაც პროფკავშირებმა საჭიროთ იცნეს იმ ხანათ მუშა-ხელის აღრიცხვის-განაწილების ქ. განყოფილების დაარსება. რაც შეეხება დაწესებულებათა და წარმოებებში მუშა-მოსამსახურეთა აღრიცხვას, კომისარიატს არ მოუხდენია, მაგრამ იყო გაცემული განკარგულება მუშა-მოსამსახურეთა სავალდებულო სიების შემოღებაზე.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კომისარიატის მოქმედების სხვა მხარეებსაც. სატარიფო კომისიის მუშაობაში თუმცა კომისარიატი მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ მის მუშაობას თვალ-ყურს ადევნებდა და ამ ნიადაგზე აღმოცენებულ კონფლიქტებს განსახილველად გადასცემდა საკონფლიქტო კომისიას. ნათესავთა ერთად სამსახურის საკითხს კომისარიატი აძლევდა და მომავლისათვის მიიღებს შესაფერ ზომებს მის მოსაწესრიგებლად. შრომის დეზერტირობას, როგორც მასსიურ მოვლენას, ადგილი არ ჰქონია, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა კომისარიატიც ერევოდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შეკითხვებიდან გამოირკვა, რომ ბათომის შრომის სახალხო კომისარიატს არც ერთი მობილიზაცია და ბეგარა არ გაუტარებია, ასეთ საჭიროების უქონლობის გამო. უმუშევართა უზრუნველყოფისათვის არავითარი ზომები არ მიუღია, ვინაიდან როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, თვით მუშა მოსამსახურეებიც არ ყოფილან დაკმაყოფილებულნი კუთვნილი ულუფით. ბოლოს მომხსენებელი ამბობს, რომ კომისარიატი ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, მაგრამ იმედია მომავლისათვის ამ ყრილობის შემდეგ მისი მუშაობა იქნება უფრო ენერგიული და ნაყოფიერი.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. მიქაძემ, გოდაბრელიძემ და თურქიამ.

წარმოებითი პროფკავშირებში

ს. პ. კ. ს. პროფ-წარმოებითი განყოფილება.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულია ს. პ. კ. ს. ეკონომიურის და სატარიფო სანორმო განყოფილებათა რეორგანიზაციის პროექტი. თანახმათ პროექტისა, ორივე განყოფილება ერთდება ერთ განყოფილებად, რომელიც შემდეგში განაგებს როგორც წარმოების ორგანიზაციას, აგრეთვე შრომის ორგანიზაციასაც. ახალი გაერთიანებული განყოფილება შესდგება შემდეგ ქვე-განყოფილებისაგან, წარმოებისა და სამეურნეო ერთეულთა ნორმის დაწესების ორგანიზაციისა. ბ კვალიფიკაციისა, ნორმის დაწესების და წამახალისებელი სისტემისა. გ შრომის მოწესრიგებისა და კერძო წარმოებებში საკონფლიქტო კომისიასთან კანტროლის დაწესებისა. 2) საკონტროლო საინსპექციო: ზედამხედველობა წარმოებითი პროგრამისა და შტატის გატარების შესრულებაზე. 3) საფონდო ქვე-განყოფილება, მასთან ბიურო: ა ფონდის შექმნისა ბ ფონდის განაწილებისა და გ) საზოსტნო სამინდვრო მეურნეობა. 4) ქვეგანყოფილებას წარმოადგენს სამდივნო. წარმოებითი განყოფილების მთელი შტატი განზრახულია 19 კაცისაგან.

მკერავ-ფეიქართა კავშირში.

(მუშაობა ნოემბრის თვის განმავლობაში .

კავშირისთვის ადგილობრივ კომიტეტებთან ძალიან საჭირო მახლობელ დამოკიდებულების დამყარების მიზნით თვის განმავლობაში ადგილობრივ გატარებულია 14 საზოგადო კრება. კრებებზე მოსმენილ იქმნა მოხსენება პროფწარმოებითი კავშირების როლისა და მიზნების შესახებ, იმ მიზნით რომ ბევრი წინეთ არსებულ ადგილობრივ კომიტეტები აწარმოებდნენ მუშაობას ძალიან სუსტათ. მათი უმეტესი ნაწილი ხელახალ არჩევნებშია გატარებული. საჭიროა აღინიშნოს, რომ აქამდე ადგილობრივ კომიტეტებს არ ჰქონდათ დებულებები, ამის გამო ყველა ადგილობრივი კომიტეტები სასწრაფოთ მომარაგებულ იქმნენ ამ დებულებებით, დადგენილია, რათა რეგულიარულათ მოწვეულ იქნეს ხოლმე საერთო საოლქო დელეგატების კრებები. პირველი საერთო საოლქო დელეგატების კრება შესდგა საანგარიშო თვეში და განიხილა საკითხები ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის მუშათა და წითელ ლაშქართა დეპუტატების არჩევნების და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ. საბოლოოთ ჩამოყალიბებულა ს. მ. ფ. ს. წარმოებითი განყოფილება ს. მ. ფ. ს. განყოფილების მიერ კავშირის ეკონომგანყოფილების უშუალო მონაწილეობით წარმოებულია მკერავ ფეიქართა მრეწველობის წარმოებათა დათვალიერება, მათი მდგომარეობის გამორკვევის მიზნით და მათი მომავალ ბედის გამოსარკვევათ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მიხედვით.

კავშირის ეკონომიურ განყოფილებამ ს. მ. ფ. ს. სამკერვალო საფეიქრო განყოფილებასთან ერთად შეიმუშავა სახელმწიფო-სამეურნეო წარმოებათათვის წარმოებითი პროგრამა. ტარიფის დარგში განზრახულია ნარდი შრომის ხელფასის ანაზღაურების გატარება, რისთვისაც მოხდა ახალი შეფასება.

კულტგანყოფილებამ შეაგროვა ყველა მუშათა დასები და გააერთიანა ერთს მძლავრ დრამატიულ დასში მუშტაიდის კლუბთან. ეს დასი ყველა რაიონებში დასდგამს წარმოდგენებს. ნოემბერში მოწვეულია მთელი რიგი კულტუჯრედთა კონფერენციებისა.

საანგარიშო თვეში შესდგა მკერავთა პროფესიონალურ ტეხნიკურ კურსების კურსანტების გამოშვება. კურსების ახალ სესიაზე ჩაეწერა 90 კაცი. მეცადინეობა აქ იწყება 15-დან განზრახულია ფეიქართა პროფტეხნიკური კურსების გახსნა.

წ.-კ. უცოდინრობის ლიკვიდაცია.

ს. პ. კ. ს. დაამტკიცა შემდეგი ინსტრუქცია წ.-კ. უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად. 1) ვცნობთ რა ხალხში წ.-კ. უცოდინრობის ლიკვიდაციას მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობის ასამაღლებლად, ამით ვადასტურებთ შეურყეველ შესრულების აუცილებლობას საქართველოს რევკომის იმ დეკრეტებისას, რომლის ძალით წერა-კითხვის სკოლებში მოსწავლენი და არა-სამხედრო წარმოებაში მომუშავე პირნი თავისუფლდებიან 2 საათით დღეში.

2) თუ წარმოების ინტერესების გამო შეუძლებელი იქნება ერთსა და იმავე დროს წარმოების ყველა წ.-კ. უცოდინრის განთავისუფლება, უთუოდ უნდა განთავისუფლდეს უცოდინართა ნაწილი, მაგრამ არა ნაკლებ ამა თუ იმ წარმოებისა წ.-კ. უცოდინართა 35 პროცენტისა.

3 თუ მეცადინეობა სკოლაში კვირაში 5-ჯერაა, მოსწავლენი უნდა განთავისუფლდეს ხოლმე სწავლისთვის ვადით არა უმეტეს 2 თვისა. თუ კვირაში სწავლის დღეების რიცხვი კვირაში შემცირეს, სწავლის ვადა შესაფერად დიდდება, მაგრამ არა უმეტეს 4 თვისა.

4. ხელფასის სკოლაში წ.-კ. სწავლების განმავლობაში იღებენ წარმოების ხარჯიდან როგორც ჩვეულებრივ მუშაობისთვის.

შენიშვნა: იმ წარმოებაში, სადაც შემოღებულია ნარდი ხელფასი, სწავლის დროს გასამრჯელოს აძლევენ იმავე დროის საშუალო ხელფასის მიხედვით.

5. ის პირნი, რომელნიც ბოროტად ისარგებლებენ შრომის ბეგრისაგან განთავისუფლებით, ვინც არ დაიარებიან სკოლაში), აგებენ პასუხს, როგორც შრომის დეზერტირნი. მათი სახელი და გვარები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ადგილკომს.

6. პასუხისგება ცნობების მიუცემლობისთვის ადგილკომებში იმ პირების შესახებ, რომლებიც სკოლაში არ ივლიან, მოეთხოვებათ სკოლის გამგეებს ანუ თანამდებობის აღმასრულებელ პირებს, უკანასკნელნი აგებენ პასუხს, როგორც შრომის დეზერტირების შემნახველნი

6. წ.-კ. უცოდინრობის ლიკვიდაციის სფეროში მასწავლებელნი და საორგანიზაციო საინსტრუქტორო პერსონალი განთავისუფლებულ იქნებიან ყოველნაირ შრომის ბეგრისგან.

ამ ინსტრუქციის ძალა არ ვრცელდება მუშათა ფაკულტეტის ქალაქში მყოფ მსმენელებზე.

მუშათა კლუბები.

— ს. პ. კ. ს. საკლუბო განყოფილებამ, გამოიძია მე-2 რაიონის ყოფილ ტივოლის) კლუბის საქმეები და დაადგინა: კლუბის მიერ საორგანიზაციო-სამეურნეო მუშაობა გადაეცეს მუშათა კომუნალურ მეურნეობის პროფკავშირს, რეორგანიზაცია გაუკეთოს კლუბის გამგეობას, იმავე პროფკავშირთან და მე-2 რაიკომთან ერთად გამოჰყოს დროებითი ხუთეული კლუბის სახელმძღვანელოთ.

— ს. პ. კ ს. საკლუბო განყოფილებამ დაადგინა მე-4 რაიონის მ. ცხაკაიას სახელობის კლუბი ჩაირიცხოს სახალხო კავშირის ფროფკავშირის ადგილობრივ კლუბათ და კავშირთან და მე-4 რაიკომთან ერთად გამოჰყოს საორგანიზაციო ხუთეული.

— ს. პ. კ. ს. საკლუბო განყოფილებამ მიანდო ამხ. ვასაძეს და რაბმინს გამოიკვლიონ ქალაქის წყალსადენის ავჭალის სადგურთან არსებულ კლუბის მდგომარეობა.

— ს. პ. კ ს კულტურულ განყოფილებამ დაადგინა გადასდოს ც. მ. კლუბის დასის ძველი ვალების გადასახდელათ 28,545,538 მანეთი და მისცეს ავანსით 2 მილიონი მანეთი წიგნების შესაძენათ კლუბის ბიბლიოთეკისთვის.

— გამოცხადებულია ხელახალი რეგისტრაცია ც. მ. კლუბის ძველ წევრებისა 3000 მანეთის გამორთმევით 1922 წლის 1 იანვრამდე.

ხელოვნების მუშაკთა ყრილობა.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმმა გამოუშვა შემდეგი ცირკულიარი.

1922 წლის 15 იანვრისათვის თბილისში დანიშნულია საქართველოს ხელოვნების ყველა მუშაკთა საგანგებო ყრილობა, წარმომადგენლობის შემდეგ ნორმით:

1) არჩევნები ყრილობაზე სწარმოებს ან წარმოებებში, ან სამაზრო კონფერენციებზე და ან საერთო საქალაქო კრებებზე.

2) ყოველ 30 კაცზე იგზავნება ერთი წარმომადგენელი.

3. წარმოება, რომელშიაც 30-ზე ნაკლები კაცია, უერთდება სხვას და ჰგზავნის წარმომადგენელს იმავე ნორმის მიხედვით.

4) ხელოვნების მუშაკთა კავშირის სამაზრო განყოფილებებს ევალებათ, თანახმად აღნიშნულ ინსტრუქციისა, არჩევნების მოხდენა იმ ადგილებში, სადაც არსებობენ ადგილობრივი კომიტეტები.

5) არჩევნები უნდა დათავებულ იქნეს 1922 წლის იანვრის 10-დე.

6) ყრილობის წარმომადგენლებმა უნდა თან წამოიღონ დაწვრილებითი წერილობითი ანგარიში მოქმედების 1921 წ. სექტემბრის 1 დან 1922 წ. იანვრის პირველამდე.

7. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ თან მანდატები და საზოგადო კრების ოქმები მათი არჩევის შესახებ.

8) წინასწარ ყრილობის დღიურ წესრიგათ დამტკიცებულია შემდეგი: 1. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთაშორისო მდგომარეობა. 2. ხელოვნების მუშაკთა კავშირის ც. გ. ანგარიში. 3. სარევიზიო კომისიის მოხსენება საქ. ხელოვ. მუშ. კავშ. ცენტრ. გამგ. მოქმედების შესახებ. 4. მთავარ კომიტეტის მოხსენება. 5. პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის მოხსენება. 6. მოხსენებები ადგილებიდან. 7. კავშირთა ორგანიზაციულ აღმშენებლობის ფორმები. 8. სატარიფო პოლიტიკა. 9. ხელ. მუშ. სოცკულტთან შეერთების ფორმები. 10. ხელ მუშ. ც. გ. არჩევნები. 11. სარევიზიო კომისიის არჩევნები.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ს. ს. ს. რ.-ის სახელმწიფო გამომცემლობის.

1. სასტიკი პასუხისმგებლობის ქვეშ რევოლიუციონურ დროის კანონების მიხედვით, კატეგორიულად ეკრძალებათ ყველა პირებს, თეატრებს, კინო—თეატრებს, ცირკებს და სხვა გასართობ ადგილებს, აგრეთვე დაწესებულებებსაც გაკვრა ქალაქში და თავიანთ შენობის კედლებზე გამოკვრა მაღაზიის „ვიტრინებზე“ სხვა და სხვა გვარი აფიშების, პლაკატების და განცხადებების, სახელმწიფო გამომცემლობის ნებადაურთველათ

2. გაკვრა ყოველგვარ აფიშისა და განცხადებებისა დასაშვებია მხოლოდ სახელმწიფო გამომცემლობის ნებადართვით განსაკუთრებულ ფასით დაწესებულ ნორმის მიხედვით.

3. ყოველ წინასწარ დანიშნულ გასაკრავ აფიშაზე, განცხადებებზე და პლაკატებზე უნდა იქნეს ნებადამრთველი ბეჭედი სახელმწიფო გამომცემლობისა, ურომლისოდ ყველა აფიშები, პლაკატები და განცხადებები იქნებიან ჩამოხეული სახელმწიფო გამომცემლობის აგენტების მიერ.

4. აღნიშნულ დადგენილების დამრღვევნი იქნებიან დაჯარიმებულნი პირველათ 300,000 მან., მეორეთ—500,000 მან,, მესამეჯერ კი იქნებიან გადაცემულნი რევტრიბუნალის სასამართლოზე, როგორც ურჩნი საბჭოთა ძალა-უფლების განკარგულებებისა.

5. ავალებენ ყველა სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომლებს [illegible] ჰქვდითი ცენტრის გამკვრელებს და კონტროლიორებს) სასტიკი თვალყურის დევნებას აღნიშნულ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ.

6. ქალაქის მილიციას ევალება აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება სახელმწიფო გამომცემლობის აგენტებს და თვალყური ადევნოს თბილისის ქალაქის რევკომის № 45-ის ბრძანების სისწორით გატარებას, და ამასთანავე დამნაშავეთ დარღვევისათვის მისცენ პასუხისგებაში.

7. დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სახალ. განათ. კომისარი და სახელ.
გამომცემლობის თავმჯდომარე:
კანდელაკი.
გამომცემლობის განყოფ. გამგე:
პ. ზუმბაძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

26 დეკემბრიდან გამოვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალ. კომიტეტის

ახალი სასოფლო გაზეთი

„მიწის მუშა“

თანამშრომლებათ მიწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:

ფ. მახარაძე—მიწ.-მოქმ. სახ. კომისარი, მ. ორახელაშვილი—ს. კ. პარ. ც. კ. მდივანი, მ. ტოროშელიძე—საქ. სახ. მეურ. უმ. საბჭ თავმჯდომარე, ს. ქავთარაძე—იუსტ. სახალ. კომისარი, ა. ერქომაიშვილი—მომარაგ. სახ. კომისარი, ბ. კვირკველია—შინ. საქ. სახ. კომისარი, დ. კანდელაკი—განათლ. სახ. კომისარი, გ. კუჭაიძე—ჯანმრთ. სახ. კომისარი, ა. ქოჩიკაშვილი—მუშ. და გლ. ინსპ. კომ., ს. თოდრია—სოც. უზრუნ. სახ. კომ., გ. ვაშაძე—უზენ. რევ. ტრიბ. თავმჯდ., თ. კალანდაძე—თბ. საბჭ.წევრი, . პარკაძე—მ. და გ. ინს. კომ. კოლ. წევრი, ვ. კანდელაკი—მიწ.-მოქ კ—ტის კოლ. წევრი, ი. კაკაბაძე, და ი. თალაკვაძე.

გაზეთი გამოვა კვირაში ორჯელ ორშაბათ-ხუთშაბათობით.

პასუხისმგებელი რედაქტორი **პავლე მ. საყვარელიძე.**

თბილისის მაზრის პარტიულ კონფერენციისათვის

დეკემბრის 25-ს თბილისის სამაზრო რევკომის შენობაში დილის 10 საათზე მოხდება თბილისის მაზრის პარტიულ კონფერენციის გახსნა.

დღის წეს-რიგი:

1) პრეზიდიუმის არჩევნები, 2) სამანდატო კომისიის არჩევნები, 3) ც. კ. წარმომადგენლების მოხსენება მიმდინარე მომენტის და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ, 4) საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია—ამხ. ამირალოვის მოხსენება, 5. სამაზრო კომიტეტის მოხსენება—ამხ. სუხიშვილი, 6. მოხსენება სამაზრო რევკომის და მისი განყოფილების მუშაობის შესახებ—ამხ. მესხი, 7, ორგანიზაციული აღმშენებლობა—ამხ. დონაძის მოხსენება, 8 სამაზრო კომიტეტის არჩევნები, 9) პარტიულ სარევიზიო კომისიის არჩევნები, 10) ც. კ. წარმომადგენლის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ყრილობის შესახებ, 11) არჩევნები პარტიულ ყრილობაზე, 12) მიმდინარე საკითხები.

ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან.

მოხდენილია განკარგულება რესპუბლიკის ხაზინებისადმი ა. წ. 16 დეკემბრის, რომ შეჩერებულ იქნეს მიღება ფულის ნიშნების შემდეგი კუპიურებისა:

რუსეთის საბჭოს სოციალისტურ რესპ. 1000 მან. ნაკლ.
საქართველოს „ „ „ 500 „ ნაკლები.

ამისთვის ყველას სახალხო კომისარიატებმა უნდა კეთილ ინებონ აუწყონ მათდამი ქვემდებარე დაწესებულებებს, რომ მათ შეადგინონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის თანდასწრებით, ოქმი ფულის ნიშნების 1000 და 500 მანეთის ღირსების ქვეით რათა მათ დარჩენილ ფულის შემოწმებული ჯამი, ერთი კვირის განმავლობაში შეიტანონ ხაზინაში კრედიტის აღსადგენათ.

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო სასურსათო კომისარიატი

ს. ს. ს. რ. ამით აცხადებს, რომ, 27 ამა დეკემბერს დილის 12 საათზე ხსენებულ კომისარიატში მოხდება სიტყვიერი და დახურული განცხადებით საჯარო ვაჭრობა თბილისის ქართულ ლაშქრის ნაწილებისთვის და სახალხო სასურსათო კომისარიატის საჭიროებისთვის ხორცის ჩაბარების საქმის იჯარით გაცემაზე. დაწვრილებითი ცნობები, ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიანთ მიიღოთ ყოველ დღე 9-დან 3 საათამდი ხსენებულ კომისარიატში და საქართველოს წითელ ლაშქრის მომარაგების სამმართველოს სასურსათო განყოფილებაში (საპიორის შესახვევი № 3).

ერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა რწმუნებულების საგანგებო კრება

დანიშნულია 8 იანვრისთვის 1922 წლისა, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქ. № 5 .

განსახილველი საგნები:

1. მთავარ-გამგეობის მოხსენება საზოგადოების მდგომარეობის შესახებ.
2. საზოგადოების წესდების და სახელწოდების შეცვლის საკითხი.

პარტიული

დღეს, ოთხშაბათს 21 დეკემბერს, დღის 4 საათზე შესდგება საბჭოთა მუშაკების პროფესიონალურ კავშირის კომფრაქციის სხდომა. მუშათა სასახლე, მე-4 სართული, ოთახი № 65 . ვსთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ, ვინაიდან დღის წესრიგში სდგას მეტად მნიშვნელოვანი კითხვები.

— დღეს, ოთხშაბათს, 21 დეკემბერს,საღ. 7 ნახ. საათზე სტუდ. წარმ საბჭოს ბინაზე შესდგება პოლიტეხნიკუმის და მუშათა ფაკულტეტის კომუნისტური ფრაქციის საგანგებო სხდომა. სავალდებულოა ყველას დასწრება.

საბჭოთა.

ტფილისის ტელეფონის ქსელის უფროსისაგან. ამით ვაცნობებ ყველა აბონენტებს, რომ თანახმად ფოსტატელეგრაფის სახალხო კომისრის განკარგულებისა, ტელეფონებით სარგებლობისათვის გადასახადის შემოტანის ვადა გაგრძელებულია ერთი კვირით ე. ი. 25 დეკემბრამდე, აღნიშნულ ვადის განმავლობაში უნდა შემოტანილ იქნას გადასახადი, წინააღმდეგ შემთხვევაში ტელეფონები მოხსნილი იქნებიან.

ტელეფონის ქსელის გამგე **ი. იაქოშვილი.**

ტირაჟი 10,000 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტეინის ქ., № 5.